საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 98 (2211) ხუთშაბათი, 23 მაისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

რ. სებისკვერაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული საესტრადო ვოკალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის პედაგოგი, კომპოზიტორი **რუსუდან სებისკვერაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1996 წლის 19 მაისი ქ. თბილისი

საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის, სანომრე ნიშნების, მართვის მოწმობებისა და ტექნიკური პასპორტების დამზადების, გაცემისა და აღრიცხვის შესახებ

მოწონებულ იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება სახელმწიფოში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მკაცრი აღრიცხვის მთელი რიგი დოკუმენტების დამზადებისა და გაცემის მოწესრიგების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის ზრდის უზრუნველყოფისათვის:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) მიმდინარე წლის 1 ივლისიდან უზრუნველყოს:

— საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოცდო-სარეგისტრაციო სამსახურის მეშვეობით ავტოსატრანსპორტო საშუალებათა და ნომრიანი აგრეგატების ყიდვა-გაყიდვისა და გაფორმების ორგანიზაცია;

— 1998 წლის 1 იანვრამდე განახორციელოს არსებული მართვის მოწმობებისა და ტექნიკური პასპორტების შეცვლა ახალი ნიმუშებით;

— გამოაცხადოს კონკურსი ინვესტიციების მოსაზიდად უცხოური და სამამულო ფირმების მონაწილეობით. ამასთან, გამარჯვებულს მიეცეს უფლება, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა დონეზე კომპიუტერული სისტემის დანერგვით, უზრუნველყოს ახალი მართვის მოწმობებისა და ტექნიკური პასპორტების წარმოება, გაცემა და აღრიცხვა;

— 1997 წლის 1 იანვრამდე მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ადრე მოქმედი სანომრე ნიშნების ახალი ლათინურშრიფტიანი სამციფრიანი სახელმწიფო სანომრე ნიშნებით შეცვლა;

— სახელმწიფო სანომრე ნიშნების ფასი დაწესდეს არაუმეტეს 10 აშშ დოლარის ექვივალენტისა ეროვნული ვალუტით.

2. აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 60 პროცენტი ჩაირიცხოს საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო 40 პროცენტი დარჩეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ორი წლის ვადით, ამ საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

3. გაუქმდეს ამ საკითხთან დაკავშირებით ადრე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 10 ივნისის № 465 და 1994 წლის 3 ივნისის № 449 განკარგულებები.

ე. შევარდნაძე.

თათბირი

გამართული გზები — არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა

გადაჭარბებით შეფასება იმ მნიშვნელობისა, რომელიც ენიჭება გზებსა და მაგისტრალებს პოტენციურად მძლავრი სატრანზიტო ქვეყნისათვის, თითქმის შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მომავალი, უკვე რეალურად ხელშესახები მოვლენაა — გაფორმებულია არაერთი ხელშეკრულება, მათ შორის საქართველოს, უზბეკეთის, თურქმენეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, რომლებიც სრულიად ახალი ტიპის ამოცანებს უყენებს ჩვენს ქვეყანას.

— **იმისათვის**, რომ თავი გავართვათ ყველა მოთხოვნას და შევასრულოთ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია, უწინარესად, ჩვენ თვითონ უნდა მოვწესრიგდეთ და ჩვენი გზები უნდა განვიხილოთ, როგორც ძირითადი საერთაშორისო მარშრუტების შემადგენელი ნაწილი, — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის დამოკიდებულება საკითხისადმი. პრაქტიკულად, ამავე თეზისით განისაზღვრა თემატიკა და მთავარი მიმართულებები ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თათბირისა, რომელიც 21 მაისს გაიმართა. სხდომას უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

თუმცა, საქართველოს მაგისტრალების საერთაშორისო მნიშვნელობასთან ერთად, თათბირზე არანაკლები დაინტერესების საგანი იყო მათი, როგორც ქვეყნის შიდაეკონომიკური განვითარებისა და რეგიონებს შორის სტაბილური ურთიერთკავშირის საშუალების მნიშვნელობა. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ეხება საქართველოს ყველა რეგიონს, მათ შორის იმათაც, რომლებზეც დროებით, ვერ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია. ოპტიმიზმისთვის საფუძველიც რეალურია — მომწიფებულია ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები საქართველოს გზებისა და მაგისტრალების მოწესრიგების დასაწყებად.

1993 წლიდან საქართველოს გზების არცერთი კილომეტრი აღარ შეკეთებულა არც კაპიტალურად და არც საშუალოდ — სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომარის ბორის სარალიძის ვრცელი ინფორმაციიდან თუნდაც ეს ერთი მომენტია საკმარისი იმისათვის, რომ სრულყოფილად წარმოვიდგინოთ პრობლემის მთელი სიმწვავე.

წლეულს ბიუჯეტით გზებისა და მაგისტრალების აღდგენისათვის 6 მილიონი ლარია გათვალისწინებული. გარკვეულ როლს პრობლემის მოგვარებაში ასრულებს საგზაო ფონდიც. სწორედ მათი მეშვეობით კონცერნს დაგეგმილი აქვს წლეულს 150 კილომეტრი გზის კაპიტალური შეკეთება, საგზაო ნიშნების, მოაჯირების აღდგენა და ა. შ.

მთლიანობაში, კონცერნმა შეიმუშავა პროგრამა, რომლის მიხედვითაც საქართველოს გზები დაყოფილია 7 ძირითად მაგისტრალად, რომელთაგან ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის მონაკვეთი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ამ ეტაპზე — როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით — ენიჭება ცხინვალის რეგიონში გამავალი ონი-ჯავა-ცხინვალის მაგისტრალის მოწესრიგებას და შემდგომში მის კაპიტალურ შეკეთებას. როგორც თათბირზე აღინიშნა, ჯავის რაიონმა გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს მაგისტრალის აღდგენით სამუშაოებში.

კონცერნის თავმჯდომარემ წარმოადგინა საქართველოს მაგისტრალური საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების, მაგისტრალური და საავტომობილო გზების ინტენსივობა-გამტარუნარიანობისა და მათი მოვლა-შენახვის, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის სამუშაოების პროგრამა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ არსებული სახსრები ჯერჯერობით არ იძლევა სრულყოფილი მუშაობის საშუალებას და ჩამოაყალიბა პრობლემის მოგვარების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ითვალისწინებს, კერძოდ, ცენტრალურ მაგისტრალებზე სარემონტო სამუშაოების დაწყება-დამთავრებას 4 წელიწადში, ზამთარში გზების ფუნქციონირების სისტემის ჩამოყალიბებას, მაგისტრალების მოდერნიზაციასა და ახალი ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობას.

ამ პროგრამის განხორციელება საუკეთესო პირობებს შექმნის ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო ტვირთბრუნვის თვალსაზრისით. ვინაიდან ეკონომიკური დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საავტომობილო გზებია, ამ საკითხის გადაწყვეტა უკავშირდება ქვეყნის მომავალ პოლიტიკურ განვითარებასაც. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასთან დაკავშირებით მასშტაბური პროექტების შემუშავებას, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალურ საშუალებას.

ამ მიმართულებით კონცერნის მუშაობა უკვე საკმაოდ ნაყოფიერია, როგორც სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, კონცერნის სისტემაში მუშაობის ბევრი ახალი ფორმა და მეთოდია დანერგილი, ნელ-ნელა მკვიდრდება ტენდერის სისტემა. კონცერნმა შეიძლება დააფინანსოს რამდენიმე ძირითადი მაგისტრალი, დანარჩენზე ზრუნვა კი ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა იკისრონ.

საქართველოს გზებს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ფუნქცია აკისრიათ, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თათბირის შეჯამებისას, — მათგან 1500 კილომეტრი სწორედ საერთაშორისო მნიშვნელობისაა და მათი წესრიგში მოყვანა მარტო საქართველოს საზრუნავი არ უნდა იყოს. დიდი რეზერვია სახელმწიფოთაშორისი პროგრამების შემუშავება. საქართველოს გზების განვითარებით დაინტერესებული არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი. იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად დიდია ეს დაინტერესება, შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის ჩართვაც პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. ამიტომ, ტვირთბრუნვა და მგზავრების გადაყვანა, პრეზიდენტის აზრით, ქვეყნებს შორის მუდმივი დიალოგის საგანი არ უნდა გახდეს. ჩვენ ვერ ავცდებით ტვირთებისა და მგზავრთა ნაკადს, რომელმაც, უგზოობის პირობებში, შეიძლება მართლაც წაიღოს ქვეყანა. ამიტომ გამოსავალი მხოლოდ ის არის, რომ მზად ვიყოთ ამ ნაკადისათვის. მომზადების პროცესი გულისხმობს რამდენიმე ეტაპს, კერძოდ, გზების რეაბილიტაციას, ზამთრის პერიოდში შეუფერხებელ, ავტომატურ რეჟიმში მუშაობას და საპროექტო დასაბუთებისათვის მზადყოფნას.

პრეზიდენტის აზრით, გზები ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს, ვინაიდან მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა იძლევა სამუშაო ადგილებს, შემოსავლებს და ა. შ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შესთავაზა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, აქედანვე იფიქრონ გზების გაფართოებისათვის საჭირო ტერიტორიების დამაგრებაზე, ხოლო კონცერნის ხელმძღვანელობას მოუწოდა დააჩქაროს სისტემის რესტრუქტურიზაციის პროცესი.

პრეზიდენტმა გაიზიარა მოსაზრება სახელმწიფო კომისიის, როგორც მაკოორდინირებელი რგოლის შექმნის შესახებ.

თათბირზე გადაწყდა, რომ ქვეყნის თითოეული რეგიონი შეიმუშავებს განხილულ პრობლემასთან დაკავშირებულ ეტაპობრივ პროგრამებს.

საქინფორმი.

მტკიცდება საქმიანი კავშირები

მიღება

გუშინ, 22 მაისს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასრულებელი მდივანი ივანე კოროტჩენია, თანმხლებ პირებთან ერთად. შეხვედრას ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები ელდარ შენგელაია, ვახტანგ ყოლბაია, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კახა ჩიტაია.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მხარეები მიესალმებიან ინტეგრაციის პროცესების განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს ორმხრივი, ეკონომიკური, ტრადიციული, ურთიერთხელსაყრელი კავშირების განმტკიცებას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა ამ თვალსაზრისით საპარლამენტთაშორისო კავშირების განვითარების მნიშვნელობას.

გუშინვე სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მიიღო მოსკოვის განათლების დეპარტამენტის დელეგაცია, დეპარტამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ლუბოვ კეზინას ხელმძღვანელობით.

ქალბატონმა ლ. კეზინამ მადლობა გადაუხადა საქართველოს ხელისუფლებას დიდი თანადგომისათვის რუსული საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებების საქმიანობის მხარდაჭერასა და განვითარებაში.

გულთბილი საუბარი შეეხო საქართველოსა და რუსეთის დედაქალაქებს შორის საქმიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას, განათლების სისტემაში გამოცდილებათა ურთიერთგაზიარებას.

დასასრულ, მოსკოველმა სტუმრებმა ბატონ ნიკო ლეკიშვილს გადასცეს რუსეთის დედაქალაქის მერის იური ლუჟკოვის გულთბილი მოკითხვა. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ რუსი და ქართველი განათლების მუშაკების ურთიერთობა და საქმიანი კონტაქტები განამტკიცებენ ორი სახელმწიფოს ტრადიციულ მეგობრობას.

ენერგეტიკა

აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის ტვირთების საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შესახებ

საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს და აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმს შორის 1996 წლის 8 მარტს ხელმოწერილ ხელშეკრულებათა პაკეტი — ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის აღდგენის, რეკონსტრუქციის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ — შესაძლებელს ხდის საქართველოს მონაწილეობას კასპიის რეგიონის ნავთობის საბადოების ათვისების პროექტში. ამ პროექტის განხორციელება, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული იმ ტვირთების საქართველოს გავლით შეუფერხებელ ტრანსპორტირებასთან, რომლებიც აუცილებელია კასპიის საბადოებიდან ნავთობის მოპოვებისა და ტრანსპორტირებისათვის. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მთლიანად პროექტის სტაბილური განვითარებისათვის, ისე საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, საქართველოს სატრანსპორტო გზის დამკვიდრებისათვის ევრაზიული დერეფნის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა სრულად და დროულად შესრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სამინისტროებს, სახელმწიფო და სხვა უწყებებს დაევალათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ პროექტის სტაბილური განვითარებისათვის საჭირო საკითხების გადაწყვეტაში და უზრუნველყონ მისი განხორციელებისათვის აუცილებელი და ხელშემწყობი პირობების შექმნა.

რკინიგზის დეპარტამენტის, სათბობენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს, სატყეო მეურნეობის, საბაჟო დეპარტამენტის, სატრანსპორტო და საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონონ პროექტთან დაკავშირებული ტვირთების ტრანსპორტირებასთან წარმოქმნილი პრობლემების ოპერატიულად გადაჭრისათვის.

საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გ. ჭანტურიას დაევალა, უზრუნველყოს პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმთან, სხვა კომპანიებთან და მათთან ერთად განახორციელოს პროექტთან დაკავშირებული ტვირთების შეუფერხებელი მიწოდება, უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქმედითი სისტემის შექმნა.

ბრძანებულებით სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურს (თ. ფიფია), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს და იმ რაიონების გამგებლებს, რომელთა ტერიტორიის გავლით მოხდება ტვირთების ტრანსპორტირება, დაევალათ დაუწესონ საგანგებო კონტროლი ამ ტვირთების შეუფერხებელ მოძრაობას.

ბათუმისა და ფოთის მერიების, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურების ხელმძღვანელობამ (ა. სმირბა, ვ. გეგეძე) განსაკუთრებული კონტროლი უნდა დაუწესონ ქალაქის ყველა იმ სამსახურის ფუნქციონირებას, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ნავსადგურებისა და რკინიგზის შეუფერხებელ მუშაობასთან, აღმოუჩინონ დახმარება ამ საკითხებზე მომუშავე უცხოელ სპეციალისტებსა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სამუშაო ჯგუფების წევრებს, სრულ წესრიგში იქონიონ შესაბამისი ნავმისადგომები და მექანიზმები; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამუშაო პროცესის ორგანიზაციას და მასში გამოცდილი მუშაკების ჩაბმას; აღნიშნული ტვირთების გადამუშავების პროცესში დააწესონ ნავსადგურებში ხელმძღვანელ პირთა სადღეღამისო მორიგეობა; უზრუნველყონ ამ ტვირთებისა და მათი მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისათვის სასაწყობო მეურნეობების გამოყოფა და მათი დაცვა; განახორციელონ ღონისძიებები ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული გემების პრიორიტეტული მიღებისა და ტვირთების დადგენილ ვადებში გადამუშავებისათვის.

პროექტთან დაკავშირებული ტვირთებისათვის საჭირო განსაკუთრებით მაღალი ხარისხის მომსახურებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დამუშავების სისტემის შესაქმნელად, მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიერ აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმისა და სხვა უცხოური ფირმების მონაწილეობით ბათუმის ნავსადგურის მე-6 და მე-7 და ფოთის ნავსადგურის მე-4 და მე-5 ნავმისადგომების თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღჭურვა და მოდერნიზაცია.

საქინფორმი.

მივხედოთ წიგნის მეურნეობას, ეს საქმე მეტს არ ითმენს!

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ ჟვანიას
საქართველოს სახელმწიფო
მინისტრს
ბატონ ნიკო ლეკიშვილს

ამა წლის თებერვალში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა წერილი, რომელიც საზოგადოებას აუწყებდა, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია წიგნის მეურნეობა.

წერილმა მასში წამოჭრილი მწვავე პრობლემების წყალობით თქვენი ყურადღება მიიპყრო, რასაც მოჰყვა სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საგამომცემლო საქმეთა სააგენტოში ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციის მესვეურებთან და გამომცემლობათა დირექტორებთან შეხვედრა. დაისახა სამოქმედო გეგმა, გადაწყდა დაარსებულიყო წიგნის დღე.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ მიზეზებზე, რამაც გამოიწვია რესპუბლიკის მრეწველობის და მასთან ერთად წიგნის მეურნეობის მოშლა. ეს ყველასათვის ცნობილია.

ვიტყვით მხოლოდ, რომ უმძიმესი პირობებისდა მიუხედავად, გამომცემლობებსა და პოლიგრაფიულ საწარმოებს არ შეუწყვეტიათ მუშაობა, დასტამბეს და მკითხველს მიაწოდეს უნიკალური წიგნები (ცხადია, ქაღალდის დეფიციტის გამო, შეზღუდული ტირაჟით). მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა და კეთდება გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაკების არანორმალური დაძაბვის ფასად. არეულობისა და ომიანობის გამო წიგნის მეურნეობას სახელმწიფო ბოლო რვა წლის განმავლობაში ვერაფრით დაეხმარა.

წიგნის მეურნეობა უკიდურესად შეჭირვებულია.

ჩვენ კარგად გვესმის საბაზრო ეკონომიკის კანონები და ამდენად ისიც გვესმის, რისი მოთხოვნის უფლება გვაქვს, მაგრამ რამდენადაც ცნობილმა გარემოებებმა არა მარტო წიგნის მეურნეობა და საერთოდ საქართველოს მრეწველობა, არამედ თავად საბაზრო ეკონომიკაც დაანგრია, აუცილებლად გვეჩვენება ამ გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს მხრივ სერიოზული დახმარების გაწევა.

სხვაგვარად წიგნის მეურნეობას მომავალი არ უწერია.

ქვეყნისათვის უმძიმეს წლებში ჩვენ არ შეგვეწუხებია ქვეყნის ხელისუფლება.

მაგრამ რამდენადაც ხელისუფლების დიდი მცდელობის წყალობით ქვეყანაში შეიქმნა სტაბილური მდგომარეობა და გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები ეკონომიკის ასაღორძინებლად, ჩვენც გვეძლევა იმედი და მოგმართავთ თხოვნით, მოხედოთ წიგნის მეურნეობას. ეს საქმე მეტს არ ითმენს. აქ არ შევუდგებით მტკიცებას, თუ რას ნიშნავს ქვეყნისათვის ქართული მწერლობისა და მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალი. არც იმის შეხსენებაა, ვფიქრობთ, საჭირო, რა პირობებში უხდებათ ცხოვრება ცნობილ ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს.

გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ქვეყანა მოღონიერდება და მოქალაქეებს ნორმალური ხელფასი ექნებათ, წიგნს არ მოაკლდება მყიდველი. წიგნის მეურნეობაც მომგებიანი გახდება.

ამ ეტაპზე კი იგი გადაუდებელ დახმარებას ითხოვს.

ჩვენი თხოვნაა ახლო მომავალში გატანილ იქნას პარლამენტის სხდომაზე დასამტკიცებლად პროექტი, რომელიც ითვალისწინებს წიგნის მეურნეობისათვის სახელმწიფოს მხარდაჭერას (როგორც ფინანსური დახმარება, გადასახადებისაგან ორი-სამი წლით განთავისუფლება, საბაჟოს გადასახადის მოხსნა საწიგნე მასალებზე და ა.შ.).

ჩვენი თხოვნაა, აგრეთვე, წიგნის დღე აღინიშნოს ამა წლის სექტემბრის თვის ბოლო კვირას, ამისათვის შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც სახელმწიფო მასშტაბს მიანიჭებს ღონისძიებას, შეამზადებს ამ ღირსშესანიშნავი დღისათვის არა მარტო თბილისს, არამედ მთელ რესპუბლიკას; ტელევიზიის, რადიოს, პრესის საშუალებით თანამიმდევრულად გააშუქებს კლასიკური მწერლობისა და მეცნიერების, ასევე თანამედროვე მწერლობის და მეცნიერების მონაპოვარს, და მთელს ცივილიზებულ კაცობრიობას დაანახებს, რომ საქართველო, უწინარეს ყოვლისა, წიგნის ქვეყანაა. მხოლოდ ამ გზით გადაიქცევა წიგნის დღე სახელმწიფო ზრუნვის გამოხატულებად.

ყოველივე ამისათვის კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გთხოვთ, გაგვიწიოთ ქმედითი დახმარება, სხვაგვარად ქართული წიგნი ვერ გაუწევს კონკურენციას უცხოეთიდან შემოტანილ ლიტერატურას, ავტორები ვერ მიიღებენ ჰონორარს, ჩაკვდება მწერლობა და მეცნიერება. შედეგი სავალალო იქნება.

ვიქტორ რცხილაძე, ბეჭდვითი სიტყვის კორპორაციის თავმჯდომარე; **ჯანსუღ ღვინჯილია**, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი; **ოთარ ჭელიძე**, გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი; **ლუკა ხუნდაძე**, გამომცემლობა „განათლების" დირექტორი; **გურამ გვერდწითელი**, გამომცემლობა „მერანის" დირექტორი; **ვახტანგ ბაბელია**, გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი; **ავთანდილ საყვარელიძე**, გამომცემლობა „ქართული ენციკლოპედიის" დირექტორი; **რეზო გრიგოლია**, გამომცემლობა „მეცნიერების" დირექტორი; **ნიკო ბერძენიშვილი**, უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი; **ზურაბ ჩილაჩავა**, „საქწიგნის" გენერალური დირექტორი.

გვჭირდება ერთიანი საფინანსო პოლიტიკა

18 მაისს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციაში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ქვეყნის 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების, საგადასახადო სისტემის მოქმედების, წარმოების სტიმულირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მეწარმეებისათვის დაცვის რეალური გარანტიების ჩამოყალიბების საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტების თავმჯდომარეები, დეპუტატები, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მინისტრები, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები.

საგადასახადო ინსპექცია

საგადასახადო ინსპექციის მუშაობისა და სტრუქტურაში არსებული პრობლემების შესახებ ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა საგადასახადო ინსპექციის თავმჯდომარე დავით სალარიძე. მან მწვავედ დააყენა გადამხდელებთან ურთიერთობის, გადასახადების შემოსვლის, საგადასახადო სისტემაში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის, მათი შრომითი ანაზღაურების, საგადასახადო სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და მაკონტროლებელ ორგანოებთან კოორდინაციის საკითხები. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბიუჯეტის შევსებაში მსხვილი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელთა დამოკიდებულების საკითხს.

„თუ ყველა უწყების ხელმძღვანელმა არ შეიგნო, რომ ბიუჯეტის შევსება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა, უმძიმესი კრიზისის ზღვარზე აღმოვჩნდებით, — განაცხადა ბატონმა დავით სალარიძემ.

ქვეყნის 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 4 თვის მანძილზე შექმნილი მდგომარეობის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატეს საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ვაჟა ფანჯაკიძემ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ ჩიკვილაძემ. სოფლის მეურნეობაში საგადასახადო შეღავათებისა და არაეფექტიანი საგადასახადო სისტემის მოქმედების შედეგად წამოჭრილ უმწვავეს პრობლემებზე ილაპარაკა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ბიუჯეტში წარმოების ყველა დარგის გათანაბრება იძულებით ღონისძიებას წარმოადგენს და პრიმიტიული პოლიტიკის ნაყოფია.

სავალუტო აღრიცხვებში წარმოჩენილი პრობლემებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საჭირო დოკუმენტაციის წარმოების შეუსაბამობაზე ილაპარაკა საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჭანკოტაძემ.

„შემოსავლების დამალვა კატასტროფულ მასშტაბებს იღებს და ამან შეიძლება ქვეყანა პოლიტიკური კატასტროფის წინაშე დააყენოს", — განაცხადა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ ვითარებაში აუცილებელია განისაზღვროს გადასახადების დამწესებლის იერარქია და თითოეულმა თანამდებობის პირმა კონსტიტუციით უნდა აგოს პასუხი.

მეწარმეების უფლებებისა და წარმოების სტიმულირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობაზე მეწარმეთა სახელით ილაპარაკეს თბილისის ლუდის ქარხნის გენერალურმა დირექტორმა გოგი თოფაძემ და გაერთიანება „სამების" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ ტყემალაძემ.

„თვისებრივად ახალი ფუნქცია უნდა განესაზღვროს საგადასახადო სამსახურს. მისი მოვალეობა უნდა იყოს არა გადასახადების აკრეფა, არამედ კონტროლი გადასახადების გადახდაზე. — განაცხადა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ.

საგადასახადო ინსპექციაში გამართული თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ახლებურად გამოკვეთა პარლამენტის როლი და ფუნქცია ბიუჯეტის შევსების რეგულირების საკითხში, ბიუჯეტის განხილვა სწორედ ახლა უნდა დავიწყოთ, უნდა განისაზღვროს საგადასახადო პოლიტიკა, იმპორტის გადასახადების განაკვეთები. განსასაზღვრია, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ ერთიანი ფინანსური პოლიტიკის განხორციელებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებებში უნდა ვეცადოთ დავიცვათ ჩვენი პოზიციები, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა მაკონტროლებელი ორგანოების კოორდინაცია.

აღინიშნა, რომ რუსთავის ქიმკომბინატი ორი წლის განმავლობაში შემოწმდა 13-ჯერ, თბილისის „ელექტროავტომატი" — 8-ჯერ, „ელექტროიზოლიტი" — 5-ჯერ.

პარლამენტის თავმჯდომარემ ამგვარ ქმედებას საწარმოს გაჩერებისაკენ მიმართული საბოტაჟი უწოდა და აღნიშნა, რომ ასეთი შემოწმებების სიხშირე საკუთარ კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანაზე მიუთითებს. მან ხაზი გაუსვა მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკთა ქმედების მიუღებელ ფორმებს მეწარმეებთან და სამრეწველო საწარმოსთან ურთიერთობაში.

აღინიშნა, რომ ყველა გამოვლენილი დარღვევა შემოწმების სფეროში, რომელიც მოეწყობა პარლამენტის დადგენილების გარეშე, შეფასდება როგორც სახელმწიფო რეკეტი.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა შემოწმების წესების სისტემის ჩამოყალიბებისა და დახვეწის აუცილებლობას.

ყოველთვიური წერილობითი ანგარიშების წარმოებას, რაც ხელს შეუწყობს მძლავრი საინფორმაციო სისტემის დანერგვას და ერთიანი სტატისტიკის განხორციელებას.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

პროექტი

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ



თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების საგანი.

ეს კანონი განსაზღვრავს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) და მოქალაქეებს შორის გარემოს და მისი რესურსების გამოყენების რეგულირებასა და დაცვაში (შემდგომში – გარემოს დაცვაში), საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 2. კანონმდებლობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოში სამართალურთიერთობა გარემოს დაცვის სფეროში რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. გარემოს დაცვის კანონმდებლობის ძირითადი მიზნები.

გარემოს დაცვის კანონმდებლობის ძირითადი მიზნებია:

– გარემოს დაცვის სფეროში ურთიერთობათა პრინციპებისა და ნორმების განსაზღვრა;

– გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა;

– დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანსაღი, სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;

– ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ქვეყნის ენდემური ფლორისა და ფაუნის, ზღვის გარემოს დაცვა, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფა;

– თვითმყოფადი ლანდშაფტების და ეკოსისტემების შენარჩუნება და დაცვა;

– ბუნებრივი გარემოს და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება და დაცვა;

– საზოგადოების მდგრადი განვითარების პირობების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. გარემოს დაცვის კანონმდებლობის ძირითადი ამოცანები.

გარემოს დაცვის კანონმდებლობის ძირითადი ამოცანებია:

– გარემოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან;

– გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება;

– საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების თანაფარდობების უზრუნველყოფა;

– ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მათი აღწარმოება ბუნების კანონებისა და გარემოს პოტენციურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მუხლი 5. ძირითადი ცნებები.

ამ კანონში გამოყენებული ცნებები ნიშნავს:

– „გარემო“ – ადამიანის მიერ შექმნილი გარემოსა და ბუნებრივი გარემოს კომპონენტთა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ძირითად პირობას საზოგადოების განვითარებისათვის და რომლის გამოყენების მართვაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია;

– „ადამიანის მიერ შექმნილი გარემო“ – გარემოს შემადგენელი ნაწილი, ადამიანის საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის კომპონენტები, მისი საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტები ან შედეგები, რომლებიც განისაზღვრებიან გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ხარისხობრივი მაჩვენებლით, აგრეთვე კულტურულ სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის ხელოვნური ან ნაწილობრივ ტრანსფორმირებული ლანდშაფტები ან ეკოსისტემები, რომელთა მართვა და რეგულირება ხდება გარემოს ასიმილაციურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

– „ბუნებრივი გარემო“ – გარემოს შემადგენელი ნაწილი. ბუნება და მისი კომპონენტები (ჰაერი, წყალი, მიწა, წიაღი და წიაღისეული, ფლორა, ფაუნა) და მათი ერთობლიობის შედეგად ფორმირებული ეკოლოგიური სისტემები და ლანდშაფტები, რომლებზედაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა;

– „გარემოს დაცვა“ – საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისაკენ, ადამიანის ჯანმრთელობის და საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფისაკენ;

– „ბუნებრივი რესურსები“ – ბუნებრივი გარემოს მატერიალური და ენერგეტიკული თვისებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენება საზოგადოების განვითარების არსებულ ეტაპზე შესაძლებელია.

– „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირება“ – ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის აღრიცხვა და ლიცენზირება;

– „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმები“ – ბუნებაზე და მის კომპონენტებზე ზღვრულად დასაშვები დატვირთვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ქვოტები;

– „მეწარმე სუბიექტი“ – სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობის განმახორციელებელი ბუნებათმოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირი;

– „დაცული ტერიტორიები“ – ტერიტორიები, სადაც სამეურნეო და სხვა საქმიანობა აკრძალული ან შეზღუდულია.

მუხლი 6. გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები.

სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) და მოქალაქეები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

– „რისკის შემცირების პრინციპი“ – ყოველი მეწარმე სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე ან ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

– „მდგრადობის პრინციპი“ – გარემო და მისი რესურსების გამოყენება ისე, რომ საშიშროება არ შეექმნას საზოგადოების განვითარებას;

– „პრიორიტეტულობის პრინციპი“ – ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა ნაკლებრისკიანი თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებღირებული ქმედების მიერ მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს;

– „ფასიანი ბუნებათსარგებლობის პრინციპი“ – მეწარმე სუბიექტისათვის ყველა სახის ბუნებრივი რესურსით სარგებლობა ფასიანი.

– პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ – ყოველი მეწარმე სუბიექტის მოვალეობაა აანაზღაუროს გარემოზე მიყენებული ზარალი;

– „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი“

– საქმიანობა არ უნდა იწვევდეს „ბიომრავალფეროვნებაზე“ დეგრადაციის შეუქცევად პროცესებს;

– „რეციკლირების პრინციპი“ – საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;

– „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“ – მეწარმე სუბიექტი, მისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის ზემოქმედება გარემოზე;

– „ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრინციპი“ – ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო უშიშროებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

– „თანამშრომლობის პრინციპი“ – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) და მოქალაქეები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობისას.

თავი 2. მოქალაქეთა უფლებანი და მოვალეობანი გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 7. მოქალაქეთა უფლებები.

მოქალაქეს, მისი ეროვნული, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ენის, სქესის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის, საცხოვრებელი ადგილის, განათლებისა და პროფესიის მიუხედავად უფლება აქვს:

– იცხოვროს მის ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;

– მიიღოს სრული, სარწმუნო და დროული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ;

– მონაწილეობა მიიღოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვის და მიღების პროცესში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით;

– მიიღოს მასზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობით;

– სასამართლო წესით მოითხოვოს გადაწყვეტილებათა შეცვლა ეკოლოგიურად საშიში ობიექტების განთავსების, პროექტირების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის შესახებ.

– გაერთიანდეს გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა მეშვეობით მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური პროგრამების შემუშავებასა და მათთვის პროპაგანდის გაწევაში, ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას, შექმნას გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ფონდები, ჩაატაროს საზოგადოებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზა, მიიღოს მონაწილეობა გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ შორის კანონპროექტების განხილვაში, განახორციელოს საზოგადოებრივი კონტროლი მათ შესრულებაზე, ორგანიზება გაუწიოს შეხვედრებს, ხელმოწერების შეგროვებას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, მიმართოს სასამართლოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევისას;

– მიიღოს ეკოლოგიური განათლება;

– უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებები, მათთვის ამ სფეროში განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. მოქალაქეთა მოვალეობანი გარემოს დაცვის სფეროში.

მოქალაქე ვალდებულია:

– დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები გარემოს დაცვის სფეროში;

– იზრუნოს გარემოს დაცვაზე;

– მოსალოდნელი ან მომხდარი ტექნოგენური ავარიებისა და კატასტროფების, სხვა ეკოლოგიურ უბედურებათა შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან გზნაცხადოს საჯაროდ.

თავი 3. განათლება, აღზრდა და სამეცნიერო კვლევები გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 9. განათლების საყოველთაობა და ხელმისაწვდომობა.

საზოგადოების გარემოსდაცვითი თვითშეგნების, ამ თვალსაზრისით მისი კულტურის ამაღლებისა და სპეციალისტების მომზადების მიზნით ყალიბდება გარემოსდაცვითი განათლების საყოველთაო და ხელმისაწვდომი ქსელი, რომელიც მოიცავს საერო საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა მთლიან სისტემას.

მუხლი 10. გარემოს დაცვის საფუძვლების სავალდებულო სწავლება.

გარემოს დაცვისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესახებ სავალდებულო ცოდნის მინიმუმის დაუფლება უზრუნველყოფილია საერო საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამით.

შესაბამისი პროფილის საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში განსაზღვრულია ეკოლოგიისა და გარემოსდაცვითი პროფილის საგნების სპეციალური კურსით სწავლება.

მუხლი 11. გარემოსდაცვითი ცოდნის პოპულარიზაცია.

გარემოსდაცვითი ცოდნის პოპულარიზაცია ხორციელდება საზოგადოების კულტურული დონის ამაღლების, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, რომელიც ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების, გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ.

მუხლი 12. სამეცნიერო კვლევები გარემოს დაცვის სფეროში.

გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების, აგრეთვე საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით ეკოლოგიაში, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში მუშავდება სამეცნიერო კვლევების პროგრამები და გეგმები, რომელთა შედეგები გაითვალისწინება სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღებისას.

თავი 4. საერთაშორისო თანამშრომლობა გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 13. საქართველოს სუვერენიტეტი გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველო თავის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს საერთაშორისო შეთანხმების და საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას, რომლებიც არეგულირებენ გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან, სახელმწიფოთა კავშირებთან, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მუხლი 14. საერთაშორისო ხელშეკრულებები გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

თავი 5. გარემოს დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციული სისტემა

მუხლი 15. საქართველოს კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოში გარემოს დაცვა განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას. ხელისუფლების ცენტრალური რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენცია ამ სფეროში განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 16. კომპეტენციათა გამიჯვნა გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოს ხელისუფლების ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა გარემოს დაცვის სფეროში კომპეტენციის გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმებია:

– გარემოს დაცვის პროგრამების, გეგმების და ღონისძიებების დაფინანსების წყაროები (ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები);

– ბუნებრივი რესურსების ხასიათი (სტრატეგიული, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის);

– გარემოზე მავნე ზემოქმედების მასშტაბები (ტრანსსასაზღვრო ან რეგიონთაშორისი, რეგიონული და ლოკალური ხასიათის);

– დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა (საერთაშორისო რეგიონული ან ადგილობრივი).

მუხლი 17. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია გარემოს დაცვის სფეროში.

საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების ფუნქცია გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენების რეგულირებაში ეკისრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

– გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვის წარმოება შესაბამის უწყებებთან ერთად.

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზირების განუყოფელი უფლება (გარდა მიწისა და მიწის რესურსებისა);

– ნარჩენებისა და პოტენციურად ტოქსიკური ნივთიერებების მართვა შესაბამის უწყებებთან ერთად.

თავი 6. გარემოს დაცვის სახელმწიფო მართვა

მუხლი 18. გარემოს დაცვის გრძელვადიანი დაგეგმვა.

გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, საზოგადოების მდგრადი განვითარების პირობების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება გარემოს დაცვის გრძელვადიანი დაგეგმვა.

გარემოს დაცვის გრძელვადიანი სახელმწიფო გეგმის საფუძველია სახელმწიფო (ეროვნული) მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, რომელსაც პერიოდულად (ხუთ წელიწადში ერთხელ) ამზადებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მასვე ეკისრება გარემოს დაცვის სახელმწიფო გეგმის მომზადების ორგანიზაცია.

გარემოს დაცვის გეგმები დგება რეგიონულ, ადგილობრივ და უწყებრივ დონეზე, რომლებიც თანხმდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან და გაითვალისწინება გარემოს დაცვის სახელმწიფო გეგმის შედგენისას.

მუხლი 19. გარემოს დაცვის მიზნობრივი პროგრამები.

გარემოს დაცვის გრძელვადიანი გეგმა წარმოადგენს გარემოს დაცვის მიზნობრივი პროგრამების ერთობლიობას, რომლებიც რანჟირებულია პრიორიტეტების მიხედვით, მოიცავს პროგრამის შემსრულებლებს, შესრულების ვადებს, სათანადო ღონისძიებებს და დაფინანსების წყაროებს.

გარემოს დაცვის პროგრამები ჩაირთვება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატურ გეგმაში.

თავი 7. ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება გარემოს დაცვის სფეროში

მუხლი 20. გადასახადები გარემოს დაცვის სფეროში.

„ბუნებათსარგებლობის ფასიანობის“ და „დამბინძურებელი იხდის“, პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოში წესდება გადასახადები:

– გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;

აღნიშნული გადასახადების გადახდის წესი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. გადასახადების გადახდა არ ათავისუფლებს მეწარმე სუბიექტს გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესრულებისაგან და გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევათა შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან.

მუხლი 21. ეკოლოგიური დაზღვევა.

საქართველოში ხორციელდება ეკოლოგიურად განსაკუთრებით საშიში მეწარმე სუბიექტის სავალდებულო დაზღვევა.

განსაკუთრებით საშიში მეწარმე სუბიექტების ნუსხას ადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ეკოლოგიური დაზღვევით შემოსული თანხები გამოიყენება ეკოლოგიური ავარიების და კატასტროფების პროგნოზირებისათვის, მათი შედეგების აღმოფხვრისათვის.

მუხლი 22. გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირება.

გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების მიზანია უნარჩენო, მცირენარჩენიანი ტექნოლოგიების დამუშავებისა და დანერგვის, მეორადი ნედლეულის გამოყენების, ეფექტიანი გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც ხორციელდება:

– უფასო სახელმწიფო რეკლამით ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე;

– ამორტიზაციის გაზრდილი ნორმების დაწესებით გარემოსდაცვით ძირითად საწარმოო ფონდებში.

მუხლი 23. ეკომარკირება

ეკომარკა (ეკონიშანი) წარმოადგენს ნიშანს, რომელიც მიენიჭება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას ან ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიას მომხმარებელთა უკეთ ორიენტირებისა და აღნიშნული პროდუქციის (ტექნოლოგიის) წარმოების სტიმულირების მიზნით.

ეკომარკის სიმბოლიკა მტკიცდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და მასვე ეკისრება ეკომარკის მიმნიჭებელი კომისიის ორგანიზაცია.

მუხლი 24. გარემოსდაცვითი შეფასება

გარემოს მდგომარეობის შეფასება (გარემოსდაცვითი აუდიტი) წარმოადგენს აუდიტორულ საქმიანობას, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, მეწარმე სუბიექტის მიერ მოხმარებული ბუნებრივი რესურსების დანაკარგებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ან ზიანი ადგება გარემოს.

გარემოს მდგომარეობის შეფასება ტარდება მეწარმე სუბიექტის ინიციატივით ან გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თუ ცნობილია, რომ მეწარმე სუბიექტის საქმიანობასთან დაკავშირებით ირღვევა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნები, ადგილი აქვს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას.

გარემოს მდგომარეობის შეფასებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მეწარმე სუბიექტი. სავალდებულო ეკოლოგიური აუდიტი შეიძლება ჩატარდეს არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

გარემოს მდგომარეობის შეფასებას ატარებს აუდიტორული კომპანია, რომელსაც გააჩნია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული სათანადო ლიცენზია.

გარემოს მდგომარეობის შეფასების ჩატარების შემდეგ მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტის კომერციულ საიდუმლოებას.

გარემოს მდგომარეობის შეფასების ჩატარების წესს ადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 25. გარემოს დაცვის მოთხოვნები პრივატიზაციის პროცესში.

პრივატიზაციის პროცესში პოტენციური შესაკუთრეების საპრივატიზაციო ობიექტებზე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმირების, მომავალი სამეწარმეო საქმიანობის ეკოლოგიური რისკის დადგენის, პრივატიზაციის შემდგომ ჩასატარებელი გამწმენდ-აღდგენითი სამუშაოების ღირებულების, როგორც საპრივატიზაციო ობიექტის საბოლოო ღირებულების, ნაწილის გაანგარიშების მიზნით დგინდება აუცილებელი წინასწარი საპრივატიზაციო ეკოლოგიური რევიზია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ამ მიზნით მონაწილეობენ სახელმწიფო საპრივატიზაციო საქმიანობაში.

თავი 8. ლიცენზირება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაში

მუხლი 26. ლიცენზირების სახეები გარემოს დაცვაში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში წესდება ლიცენზიები:

– გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის;

– გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (გარდა მიწისა და მიწის რესურსებისა);

აღნიშნული ლიცენზიები გაიცემა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ და მასვე ევალება ლიცენზირების წესის დამტკიცება.

ლიცენზიის ბლანკებს გააჩნიათ ფასიანი ქაღალდების დაცვის უზრუნველყოფა, სააღრიცხვო სერია და ნომერი.

მუხლი 27. ლიცენზიები გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ექვემდებარება ლიცენზირებას.

ასეთი საქმიანობაა:

– ეკოლოგიური პასპორტიზაციის, სერთიფიკაციის და გარემოს მდგომარეობის შეფასების ჩატარება;

– ჰიდრომეტეოროლოგიური სამუშაოების ჩატარება.

– გარემოს მონიტორინგი;

– გარემოსდაცვითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება.

მუხლი 28. ლიცენზიები გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის.

ლიცენზიები გარემოზე მავნე ზემოქმედებისათვის გაიცემა მეწარმე სუბიექტზე, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიასთან, სხვადასხვა ფიზიკურ ზემოქმედებასთან და მავნე მიკროორგანიზმების გამოყოფასთან დადგენილი ლიმიტების ფარგლებში.

მუხლი 29. ლიცენზიები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის.

ლიცენზიები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გაიცემა მეწარმე სუბიექტზე, რომლის საქმიანობა სხვადასხვა მიზნით დაკავშირებულია გარემოდან ბუნებრივი რესურსების ამოღებასთან (გამოყენებასთან) ან შეყვანასთან (ინტროდუქციასთან). ლიცენზიები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გაიცემა დადგენილი ქვოტების და ბუნებრივ გარემოზე ზღვრულად დასაშვები დატვირთვის ნორმების მიხედვით.

თავი 9. გარემოს დაცვის ინფორმაციული უზრუნველყოფა

მუხლი 30. გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება.

გარემოს ხარისხობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება მოიცავს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რესურსების კადასტრების შედგენას, სტატისტიკას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას, კარტოგრაფირებას.

გარემოს მდგომარეობის სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებას და შეფასებას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტთან და შესაბამის უწყებებთან ერთად.

მუხლი 31. მონიტორინგი გარემოს დაცვის სფეროში.

მონიტორინგი გარემოს დაცვის სფეროში წარმოადგენს გარემოს მდგომარეობის ხარისხზე დაკვირვებათა და მიღებული ინფორმაციის დამუშავების სისტემას.

მონიტორინგი გარემოს დაცვის სფეროში ხორციელდება გარემოს ერთიანი სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის ფარგლებში, რომლის საერთო ხელმძღვანელობას ანხორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

გარემოს ერთიანი სახელმწიფო მონიტორინგის შედეგები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო უშიშროებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

თავი 10. გარემოსდაცვითი ნორმირება

მუხლი 32. გარემოსდაცვითი ნორმირების მიზანი.

გარემოს დაცვის ნორმირების მიზანია გარემოზე სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმების დადგენა, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოს ეკოლოგიურ წონასწორობას.

ამ მიზნით წესდება:

– გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები;

– გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიის და მიკროორგანიზმების გამოყოფის (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმები;

– მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები;

– ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი;

– ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმები.

მუხლი 33. გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმები.

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმებია:

– ატმოსფერულ ჰაერში, წყალში და ნიადაგში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების და მიკროორგანიზმების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების ნორმები.

– ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა ფიზიკური ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები;

– რადიაციული ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები;

გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმებს, ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს ამუშავებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გარემოს ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით;

გაზრდილი სოციალურ-ეკოლოგიური ფასეულობის ტერიტორიებისათვის დგინდება გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის უფრო მკაცრი ნორმები.

მუხლი 34. გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიის და მიკროორგანიზმების გამოყოფის (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმები.

გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიის და მიკროორგანიზმების გამოყოფის ზღვრულად დასაშვები ნორმები მუშავდება დაბინძურების ყოველი წყაროსათვის მათი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური დაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაცია ამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

გარემოში მავნე ნივთიერებების ემისიის და მიკროორგანიზმების გამოყოფის (ემისიის) ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დამტკიცდეს ემისიის დროებითი ნორმები გარკვეული მოთხოვნებითა და ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს.

მუხლი 35. მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები.

სოფლისა და სატყეო მეურნეობაში მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების, ზრდის სტიმულატორების და სხვა ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები დგება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს ადამიანის ჯანმრთელობასა, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ნიადაგს.

მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა გამოყენების ნორმები მტკიცდება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით.

მცენარეთა დაცვის საშუალებების, ტრანსპორტირების, შენახვის და გამოყენების წესებს ამტკიცებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად.

მუხლი 36. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმები.

ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და სხვა ტერიტორიებით

სარგებლობისას და ათვისებისას დგინდება მათზე დატვირთვის ზღვრულად დასაშვები ნორმები გარემოს დეგრადაციის და მასში შეუქცევადი პროცესების თავიდან აცილების მიზნით. ბუნებრივი რესურსების გარემოდან ამოღებისას დგინდება ამოსაღები რესურსების ეკოლოგიურად გამართლებული ქვოტები ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას რაციონალური ბუნებათსარგებლობა და ზიანი არ მიადგეს ბუნებრივი რესურსების აღწარმოების შესაძლებლობებს.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ნორმების დამუშავებას ორგანიზებას უწევს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (გარდა მიწისა და მიწის რესურსებისა).

მუხლი 37. ეკოლოგიური მოთხოვნები პროდუქციისადმი.

ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების და შენახვისას გათვალისწინებული უნდა იქნას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები.

საკვებ პროდუქტებში ქიმიურ ნივთიერებათა რაოდენობის ზღვრულად დასაშვები ნორმები დგინდება ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო მინიმალური დოზის დონეზე.

მუხლი 38. ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი.

მეწარმე სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემცირება, გაუვნებელყოფა, უტილიზაცია, განთავსება და დამარხვა, გარემოსდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ნორმების და წესების დაცვა.

საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების განთავსება და დამარხვა ნებადართულია სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებში, გარემოსდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიის საწინააღმდეგო ნორმებისა და წესების დაცვით.

ტოქსიკური, რადიაქტიული და სხვა სახიფათო ნარჩენების განთავსება და დამარხვა წარმოებს მხოლოდ საგანგებოდ განსაზღვრულ ადგილებში, გარემოსდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვით.

ნარჩენების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

თავი 11. გარემოს დაცვის მოთხოვნები სამეწარმეო საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას

მუხლი 39. გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, მეწარმე სუბიექტის საქმიანობაზე ნებართვის გაცემამდე, სავალდებულოა ჩატარდეს განზრახული საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს მეწარმე სუბიექტის საქმიანობის პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში გარემოზე მოსალოდნელი ყველა სახის ზემოქმედების წყაროს ხასიათისა და ხარისხის განსაზღვრას, აგრეთვე ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებს მეწარმე სუბიექტი წარმოადგენს განაცხადის სახით.

მუხლი 40. გარემოზე ზემოქმედების შეფასების განაცხადი.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების განაცხადი წარმოადგენს მეწარმე სუბიექტის მიერ საქმიანობის ნებართვის მიღებაზე წარმოდგენილი დამასაბუთებელი დოკუმენტაციის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, რათა გადაწყვეტილების მიმღები პირი ინფორმირებულ იქნას გარემოს ხარისხობრივ მაჩვენებლებზე მეწარმე სუბიექტის საქმიანობის მესაძლებელი ზეგავლენის შესახებ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება სრულდება მეწარმე სუბიექტის ხარჯებით და მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა განაცხადის მართებულობასა და სისრულეზე.

მოთხოვნებს განაცხადის ფორმისა და შინაარსისადმი ამტკიცებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების განაცხადი წარმოადგენს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ძირითად ობიექტს.

მუხლი 41. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა წარმოადგენს მეწარმე სუბიექტის საქმიანობაზე ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მეწარმე სუბიექტი.

საქმიანობათა ჩამონათვალს, რომელთაც სავალდებულოა ჩაუტარდეს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა, განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 42. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა მეწარმე სუბიექტის საქმიანობის განხორციელების აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს გაითვალისწინოს დასკვნაში მოცემული შენიშვნები, რეკომენდაციები და ხელახლა წარმოადგინოს საქმიანობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 43. ზოგადი გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო საქმიანობისას.

მეწარმე სუბიექტის საქმიანობისას უნდა შესრულდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები, გათვალისწინებული იქნას გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების და აღწარმოების, გარემოს აღდგენისა და გაჯანსაღების ღონისძიებები და მათი განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრები.

ამ პირობების შესრულების გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობის პროექტირება და მისი განხორციელება.

მუხლი 44. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების პროექტირებისას.

სამეურნეო ობიექტების პროექტირებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე, გარემოზე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები, მავნე ნივთიერებებით და ნარჩენებით გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების ეფექტური ღონისძიებები, რესურსდამზოგი, მცირენარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიებისა და წარმოების დანერგვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და აღწარმოების ღონისძიებები.

მუხლი 45. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების მშენებლობის და რეკონსტრუქციისას.

სამეურნეო ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ხორციელდება დამტკიცებული პროექტების მიხედვით. პროექტების დამტკიცებამდე აკრძალულია სამეურნეო ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაწყება. დაუშვებელია დამტკიცებულ პროექტში ცვლილებების შეტანა გარემოს უსაფრთხოების საზიანოდ.

სამეურნეო ობიექტების სამშენებლო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნას გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება და აღწარმოება, მიწების რეკულტივაცია.

მუხლი 46. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემისას.

სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლა ხდება მხოლოდ მიმღები კომისიის დადებითი აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი პირი.

დაუშვებელია სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლა, თუ არ არის უზრუნველყოფილი:

- სამიში ნარჩენების უტილიზაციის, გაუვნებლობის დანადგარების, გამწმენდი ნაგებობების, გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის საშუალებების გამართული მუშაობა;
- პროექტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

მუხლი 47. გარემოსდაცვითი მოთხოვნები სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციისას.

ყოველი მეწარმე სუბიექტი ვალდებულია დაიცვას გარემოზე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები, უზრუნველყოს გამწმენდი ნაგებობების, გამაუვნებელი დანადგარების და მათი საკონტროლო საშუალებების შეუფერხებელი და ეფექტური მუშაობა, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება, ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

თავი 12. საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციები

მუხლი 48. მეწარმე სუბიექტის მოვალეობანი საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების დროს.

მეწარმე სუბიექტი ვალდებულია ჰქონდეს ტექნოგენური ავარიებისა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიებისა და კატასტროფების დროს მოქმედების გეგმები, შეთანხმებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

შექმნას და მზადყოფნაში ჰყავდეს ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური.

ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად უნდა აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას.

მუხლი 49. საგანგებო ეკოლოგიური ზონები.

ტერიტორია, სადაც სამეურნეო და სხვა საქმიანობის ან სტიქიური უბედურების შედეგად მკვეთრად გაუარესდა გარემოს მდგომარეობა და საფრთხე შეექმნა ადამიანების ჯანმრთელობას, მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს, ცხადდება საგანგებო ეკოლოგიურ ზონად.

საგანგებო ეკოლოგიური ზონები ცხადდება და უქმდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

საგანგებო ეკოლოგიურ ზონებში იზღუდება სამეურნეო საქმიანობა, იკრძალება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის მქონე ყოველგვარი საქმიანობა და მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

მუხლი 50. ეკოლოგიური უბედურების ზონები.

ტერიტორია, სადაც სამეურნეო და სხვა საქმიანობის, ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების შედეგად დაირღვა ბუნებრივი წონასწორობა, განადგურდა ეკოლოგიური სისტემა, საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლეს, ცხადდება ეკოლოგიური უბედურების ზონად.

ეკოლოგიური უბედურების ზონები ცხადდება და უქმდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.

ეკოლოგიური უბედურების ზონებში წყდება ყველა სახის სამეურნეო საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული აღდგენით სამუშაოებთან და სასიცოცხლო ობიექტების ფუნქციონირებასთან.

თავი 13. ბუნებრივი ეკოსისტემის დაცვა

მუხლი 51. ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვის მიზანი.

საქართველოში ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ტერიტორიები დაცული უნდა იქნან დაბინძურების, დარღვევის, დაზიანების, გამოფიტვისა და დაშლისაგან.

განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფებიან:

- ზღვის სანაპირო ზოლი;
- ჭაობები, წყაროს თავები, წყალსატევების მასაზრდოებელი ტერიტორიები, მცირე მდინარეები;
- მთისა და ჭალის ტყეები.

ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ტერიტორიების გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა და მათი მართვის რეჟიმი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და შეთანხმებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

მუხლი 52. გარეულ მცენარეთა და ცხოველთა (მათ შორის თევზის) დაცვა.

გარეულ მცენარეთა და ცხოველთა რესურსების თვითაღწარმოების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისათვის მათი ბუნებიდან ამოღება მკაცრად ლიმიტირებულია და ექვემდებარება ლიცენზირებას.

აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, ბინადრობის გარემოს, გამრავლების არეალებს.

აკრძალულია გარეულ მცენარეთა და ცხოველთა მოპოვება და ვაჭრობა, საგანგებო ნებართვის გარეშე.

უცხო მცენარეთა და ცხოველთა ინტროდუქცია დაიშვება მხოლოდ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ნებართვით.

გარეულ მცენარეთა და ცხოველთა დაცვას არეგულირებს შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 53. ენდემური, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა დაცვა.

ენდემური, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეები და ცხოველები რეგისტრირებული არიან „საქართველოს წითელ წიგნში", რომელსაც ადგენს და პერიოდულად განაახლებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გამოსცემს საქართველოს მთავრობა.

„საქართველოს წითელ წიგნში" შეტანილ სახეობათა მიმართ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა: ნადირობა, რეწვა, მოპოვება, ჭრა, თიბვა (გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა), რომელიც იწვევს ამ მცენარეებისა და ცხოველების რაოდენობის შემცირებას, აუარესებს მათ სასიცოცხლო გარემოსა და არსებობის პირობებს.

თავი 14. დაცული ტერიტორიები

მუხლი 54. დაცული ტერიტორიების შექმნის მიზანი.

დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის — უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობის — ბიოლოგიური მრავალფეროვნების უნიკალური, იშვიათი, ეტალონური, ტიპიური ხელუხლებელი ბუნებრივი ლანდშაფტების, კულტურული არეალების, ენდემურ, იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნით იქმნება დაცული ტერიტორიები.

მუხლი 55. დაცული ტერიტორიების კატეგორიები.

დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

საქართველოში დასაშვებია დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული კატეგორიების — ბიოსფერული რეზერვატის, მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიის არსებობა.

დაცული ტერიტორიები იქმნება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე.

დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება საქართველოს კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" შესაბამისად.

თავი 15. პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 56. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის.

ამ კანონის დამრღვევენი პასუხს აგებენ საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობათა შესაბამისად.

გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში წარმოქმნილი დავები გვარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 57. გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მეწარმე სუბიექტები მოვალენი არიან აანაზღაურონ გარემოს დაცვის კანონმდებლობის დარღვევით მიყენებული ზარალი დადგენილი ოდენობითა და წესით.

გთხოვთ თქვენი შენიშვნები გამოგვიგზავნოთ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში.

მისამართი: კოსტავას ქ. № 68 ა.
ტელეფონი: 36-04-52;
36-15-82.
ფაქსი: 98-34-25.



ეს სურათი 25 წლის წინათ არის გადაღებული და მასზე აღბეჭდილია ლაფანქამიის მიერ დაზიანებული კორომების შესაწამლად დარაზმული ხალხი. ასე ზრუნავდნენ ბუნებაზე მეოთხედი საუკუნის წინათ ბორჯომის სატყეო მეურნეობაში. რა მდგომარეობაა დღეს?

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

„სრ" დოსიე:

ნუგზარ ნავაძე დაიბადა 1949 წელს ხარაგაულის რაიონში. ხარგვეშის სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაამთავრა ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტომობილების სპეციალობით. მუშაობდა დამხმარე მუშად ჯერ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, შემდეგ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოში, იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე. 1983-87 წლებში იყო თბილისის საავტობუსო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი, 1987-90 წლებში თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის პირველი მოადგილე, 1990-93 წლებში გაერთიანების უფროსი, შემდეგ კი ამ გაერთიანების ბაზაზე შექმნილი სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსის" თავმჯდომარე, 1995 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. არის მაჟორიტართა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საავტომობილო საგზაო ინსტიტუტის დოცენტი, მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

გზების ძიება დაახლოებით და გაერთიანებით უნდა დავიწყოთ

პარლამენტარი

— ბატონო ნუგზარ! გამოცდილი სამეურნეო მუშაკი ექვსი თვეა, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის წევრი ბრძანდებით. როგორ შეაფასებდით განვლილი პერიოდის მუშაობას?

— დამაკმაყოფილებლად. პარლამენტი ჯერჯერობით უხმაუროდ, ყოველგვარი ექსცესებისა და ამბიციების გარეშე ეწევა კანონშემოქმედებით საქმიანობას. მიღებულია 50-მდე დადგენილება, 30-ზე მეტი კანონი, რატიფიცირებულია 15-ზე მეტი ხელშეკრულება, საქართველო შეუერთდა რამდენიმე კონვენციას. თუ ბოლო პერიოდში შესუსტებული დისციპლინის ამაღლება შევძელით, რეგლამენტის დაცვაც უზრუნველვყავით და პულტებიც კუთვნილებისამებრ გამოვიყენეთ, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დეფიციტი ნამდვილად არ ექნება.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება დღემდე მიღებულ კანონთა მიმართ?..

— არაერთგვაროვანი. იყო კანონები, რომელთა მიღებასაც მხარი დავუჭირე და ხმაც დიდი კმაყოფილებით მივეცი. ისეთი, რომელსაც მხარი დავუჭირე, მაგრამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც დამრჩა. ისეთი, რომლის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მივიღე და ისეთიც, რომლის მიღების წინააღმდეგი წავედი.

გარკვეული უკმარისობის გრძნობით მივეცი ხმა რუსეთთან ხელშეკრულების რატიფიცირებას. ეს, ძირითადად, იმან განაპირობა, რომ საკითხი იხილებოდა 17 იანვარს, 19 იანვარს კი მოსკოვში უნდა გამართულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა, სადაც აფხაზეთის საკითხიც იხილებოდა. ხმის მიცემით და ხელშეკრულების რატიფიცირებით, ვფიქრობდით, ხელს შევუწყობდით ჩვენი პრეზიდენტის პოზიციის განმტკიცებას. ასევე უკმარისობის გრძნობით მივეცი ხმა კანონს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ, მიზანშეწონილად მივიჩნევდი ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის ნაცვლად შექმნილიყო ტრანსპორტის სამინისტრო. მეტნაკლებად ანალოგიური აზრი გამაჩნდა სათბობ-ენერგეტიკის სახელმწიფო კორპორაციის შექმნასთან დაკავშირებითაც, თუმცა შემდგომ პერიოდში ამ საკითხებისადმი დამოკიდებულებაში სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობაც ვიგრძენი, რაც თავად დარგების რთული სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მთლიანობაში ეს საკითხი სპეციალისტებთან სათანადო მსჯელობასა და შეჯერებას მოითხოვს.

ვერ გავიზიარე საპარლამენტო დარგში მინისტრის მოადგილის თანამდებობის შემოღების აუცილებლობა, რადგან აღნიშნულ მინისტრს პარლამენტისაგან აცილებს. სხვა საქმეა და გამართლებულიც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობის შემოღება, მით უმეტეს, როცა ამ თანამდებობას ისეთი ღირსეული პიროვნება იკავებს, როგორიც ბატონი ჯონი ხეცურიანია.

იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ხოლო ამ პოლიტიკისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას ბევრად განაპირობებს ტელერადიო კორპორაციის საქმიანობა, მიმაჩნდა და დღესაც ასე მიმაჩნია, რომ კორპორაციის ხელმძღვანელს პარლამენტი უნდა ამტკიცებდეს.

საერთოდ არ მივიღე მონაწილეობა საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის კანონის მიღების კენჭისყრაში. წინააღმდეგი არ წავედი იმის გამო, რომ ასეთი სასამართლოს შექმნა კონსტიტუციური მოთხოვნა იყო, კანონის მიღებას მხარი ვერ დავუჭირე იმის გამო, რომ მის ზოგიერთ მუხლს ვერ დავეთანხმე. კერძოდ, ვერ დავეთანხმე მოსამართლეთა არჩევისა და განთავისუფლების მუხლებს, ორი კოლეგიის შექმნისა და კიდევ სხვა საკითხებს. საერთოდ, კი მიმაჩნია, რომ ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, კონსტიტუციური სასამართლოს შექმნა ზედმეტი არ არის, მაგრამ არც დიდად აუცილებელია.

ამ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონის მიღების წინააღმდეგი წავედი, რადგან ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, დასაზუსტებელია საზღვრები, ჩასატარებელია მიწის ინვენტარიზაცია, — კადასტრი. ჩემი აზრით, ყიდვა-გაყიდვის დამცავი მექანიზმი არასრულყოფილია და არ გამორიცხავს არასასურველ შედეგებს, ის, ვინც დღეს მიწას ამუშავებს — გლეხი, ვისაც ამის სურვილიც აქვს და გამოცდილებაც, იგი უსახსრობის გამო მიწის ნაკვეთის შესყიდვის გზით ვერ მიიმატებს, თქმა არ უნდა, ამავე მიზეზით ვერ იყიდიან მიწას პედაგოგები, კულტურის მუშაკები და, საერთოდ, ინტელიგენციის წარმომადგენლები და ბევრი სხვა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ჩვენს რესპუბლიკაზე მნიშვნელოვანი საგზაო-საკომუნიკაციო მაგისტრალების გაყვანა ბევრად გაზრდის დაინტერესებას საქართველოთი და მისი მიწებით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, გარდა პირადი რწმენისა, ჩემი ამომრჩევლების დიდი უმრავლესობის აზრმა ჩამინერგა. ხარაგაულის რაიონის მარტო ერთი სოფლიდან — დორეშიდან ღვაწლმოსილი პიროვნების, ბატონ პავლე იჩქიტიძისაგან 341 კაცის ხელმოწერილი ბარათი მივიღე. მსგავსი დამოკიდებულება იყო ჩამოყალიბებული კიცხის ზონიდან დამსახურებული პიროვნების ბატონ აკაკი ჩხიკვაძის გამოგზავნილ წერილშიც. ნიშანდობლივია, რომ ფრაქცია „მაჟორიტარის" წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ კანონის მიღებას მხარი არ დაუჭირა.

ღმერთმა ქნას, ამ კანონის მიღებამ ერს სასიკეთო შედეგი მოუტანოს, რასაც მე გულით შევესალმები და თუ მას მცირედი არასასურველი შედეგი მაინც მოჰყვება, პასუხისმგებლობის მოხსნას, როგორც პარლამენტის წევრი, არ შევეცდები. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კანონის მიღებას სხვა ბევრი ოპონენტიც ჰყავდა, რასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია — ვინც კანონპროექტის პირველ ვარიანტს იცნობს, დამეთანხმება, რომ ის მაქსიმალურად დაიხვეწა და ქვეყნისათვის ბევრად უკეთესი ფორმით ჩამოყალიბდა.

— მხარდაუჭერლობის გამო რაიმე შეწოლა ხომ არ გიგრძნიათ?

— არა. მე არც პარლამენტის თავმჯდომარის არჩევისათვის დამიჭერია მხარი. ეს ფაქტი არც დამალულა, მაგრამ თავმჯდომარისა და სპიკერატისაგან უყურადღებობა არ მიგრძვნია. არც მე მერიდება დღეს იმ ფაქტის აღიარება, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ნიჭიერი და ენერგიული პიროვნებაა, იგი ხელისგულივით ხედავს დარბაზს და მაღალ დონეზე წარმართავს სხდომებს.

— ბატონო ნუგზარ, პარალელს ხომ ვერ გაავლებდით ძველსა და ახალ პარლამენტს შორის?..

— აბა, რა გითხრათ. რეალური საქმიდან პარლამენტში კვლავ საქმის საკეთებლად მოსული კაცი უნდა თვლიდეს, რომ დღეს პარლამენტი მისი მეორე ოჯახია, ამ პოზიციიდან გაკეთებული შეფასებები კი შეიძლება სუბიექტურიც აღმოჩნდეს. ისე კი გეტყვით: წინა პარლამენტმა ჩვენზე რთულ პირობებში იმუშავა, საპარლამენტო მუშაობის ბევრი კარგი ტრადიცია დაამკვიდრა, კონსტიტუცია მიიღო, შემოიღო ეროვნული ვალუტა — ლარი. გულწრფელად გეტყვით: გულიც კი მწყდება წინა პარლამენტის რამდენიმე წევრი რომ ჩამოსცილდა აქტიურ პოლიტიკას, სასურველი იქნება, თუ მათთან თანამშრომლობის რაიმე ფორმა გამოინახება.

— თქვენი აზრით, პირველ რიგში რა საკითხებზე უნდა იმუშაოს მომავალში პარლამენტმა?

— განსაკუთრებული ყურადღებისა და კონტროლის საგანი უნდა გახდეს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, შესრულების მიმდინარეობისა და მიღების შეჯამების საკითხები. რათა ქვეყანაში შეიქმნას საბიუჯეტო [illegible] დამკვიდრების ატმოსფერო. [illegible] მივაღწიოთ, რომ თითოეულმა მოქალაქემ გაითავისოს პრინციპი: „არის ბიუჯეტი — არის სახელმწიფო" და რომ ხელი უნდა შეუწყოს ბიუჯეტის შესრულებას, გვერდზე უნდა გადადოს ზედმეტი ქართული პატივმოყვარეობა და თავის მხრივ წინ აღუდგეს ჩრდილოვან ეკონომიკას; გადაუდებლად საჭიროდ მიმაჩნია, რადიკალური ცვლილებები შევიდეს საგადასახადო პოლიტიკაში, დღევანდელი საგადასახადო კანონმდებლობა მეწარმეს უკარგავს მუშაობის ხალისს და ნეგატიური ტენდენციებისაკენ უბიძგებს. ვიდრე საგადასახადო პოლიტიკა ისეთი ლიბერალური არ გახდება, რომ მთლიანად მოერგება საქართველოს პირობებში ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფ მეწარმეობას, მისი განვითარება-აღორძინების სურვილი ოცნებად დარჩება. ამ ეტაპზე პირადად მე იმასაც კი ვიზიარებ, რომ საქართველოში დამზადებულ პროდუქციას, რომელმაც შიდა ბაზარი დააკმაყოფილა, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავუშვებდი საზღვრებს გარეთ. პროდუქციას, რომელსაც ჩვენ ვერ ვაწარმოებთ და იმპორტის სახით შემოგვაქვს, გავათავისუფლებდი გადასახადებისაგან. მაქსიმალურად გავუზრდიდი გადასახადებს და შევზღუდავდი იმ პროდუქციის შემოტანას, რომლის ანალოგი ჩვენთან მზადდება ან შეიძლება დამზადდეს.

მე შეიძლება, ერთობ, გამარტივებული სქემა წარმოვადგინე, მაგრამ ასეთი პოზიციებიდან საპარლამენტო მსჯელობა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება, ვფიქრობ, დიდად წაადგება საქართველოში მეწარმეობის განვითარებას.

— ბატონო ნუგზარ, თანამშრომლობის რა ფორმები ჩამოაყალიბეთ ხარაგაულელ ამომრჩევლებთან ურთიერთობაში და რა ადგილი უკავია ამ ურთიერთობას თქვენს სადეპუტატო საქმიანობაში?

— ძირითადი და განსაკუთრებული: რაიონში შექმნილია პარლამენტის წევრის ბიურო, რომელსაც ავტორიტეტული პიროვნება ბატონი ვალერი გოგნაძე ხელმძღვანელობს. კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ბიუროს ნორმალური მუშაობისთვის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობამ კარგი პირობები შეგვიქმნა, როგორც წესი, ყოველი თვის მეორე ორშაბათს აქ პირადად ვხვდები ამომრჩევლებს, ვმონაწილეობ გამგეობის სხდომების მუშაობაში. თბილისსა და ხარაგაულში 160-ზე მეტმა ამომრჩეველმა მომმართა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. დიდ ნაწილს სათანადო დახმარება გაეწია. ისეთებიც იყო, რომლებიც მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ გადავწყვიტეთ. სათხოვართა უმრავლესობა პირად საკითხთა მოგვარებას შეეხებოდა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შეეხო რაიონის საერთო პრობლემატიკას, რაც ერთგვარ უკმარისობის გრძნობას მიტოვებს. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონული მასშტაბების პრობლემატიკაზე არ ვიმუშავეთ და არ გადაწყვეტილა რიგი საკითხებისა, რის გაანალიზებასაც ამჯერად არ შევუდგები, რადგან დაპირებისამებრ, ზაფხულის საპარლამენტო არდადეგების პერიოდში, როგორც წესი, საარჩევნო უბნების მიხედვით შევხვდები ჩემს ამომრჩევლებს, სადაც უფრო დეტალური საუბარი გვექნება გაკეთებულსა და გასაკეთებელზე.

საერთოდ, ამომრჩევლებთან მაჟორიტარ დეპუტატთა მუშაობის ფორმები და მეთოდები დასახვეწია. ასეთ დეპუტატებს, მიუხედავად მათი პარტიული შეხედულებისა და ფრაქციულობისა, ძალიან ბევრი საერთო პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი და ამ გადაწყვეტის გზების ძიება, ალბათ, მაჟორიტართა მაქსიმალურად დაახლოებითა და გაერთიანებით უნდა დავიწყოთ.

ესაუბრა
ჰენრი შარიქაძე.

დრომ მოიტანა

პრივატიზაციის შედეგები შეიძლება ქარმა წაიღოს

„საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

იურიდიული კომპანია „ინიურსერვისი" ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება ქ.თბილისის № 1 სასურსათო მაღაზიის „ავრორას" სამართლებრივი ინტერესების დაცვას. მომსახურების დროს გამოვლინდა ზოგადი ხასიათის დარღვევები. მათი ანალიზის პოპულარული გაზეთის ფურცლებზე გამოტანა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს მომავალში ანალოგიურის თავიდან აცილებას. თუ შესაძლებელია, გთხოვთ გამოაქვეყნოთ წარმოდგენილი სტატია, რომელიც პრივატიზაციის პროცესში აღმოცენებულ დამახინჯებებს შეეხება.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ვადასტურებთ ჩვენს ღრმა პატივისცემას „საქართველოს რესპუბლიკის" მიმართ. „ინიურსერვისი" მზად არის უპასუხოს გაზეთის ნებისმიერ სამართლებრივი ხასიათის შეკითხვას და მოემსახუროს თქვენი ინტერესების იურიდიულ უზრუნველყოფას.

პატივისცემით, კონსტანტინე კემულარია.

პრივატიზაციის პროცესს რომ მრავალი დამახინჯება და უწესო გარიგებანი ახლავს, არავისთვის არ წარმოადგენს სიახლეს. ბევრი რამ გამოუცდელობით და უცოდინარობით არის განპირობებული, მაგრამ დიდია შეგნებულად ჩადენილი „შეცდომების" წილიც. ამჯერად პრივატიზაციის დროს მომრავლებული თაღლითური ჯგუფების საქმიანობაზე შევჩერდებით.

ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ 1994 წლის 29 მაისს დამტკიცებული დებულების მიხედვით, ქ.თბილისის ქონების მთავარმა სამმართველომ ჭავჭავაძის გამზირ № 16-ში მდებარე № 1 სასურსათო მაღაზია პირდაპირი მიყიდვის წესით მიეყიდა ამ სავაჭრო ობიექტის შრომით კოლექტივს. ხელშეკრულება მაღაზიის მიყიდვის შესახებ დადებულია 1995 წლის 16 ოქტომბერს და ნოტარიუსის მიერ იმავე თარიღით არის დამოწმებული. მიაქციეთ ყურადღება, რომ მაღაზია შრომითი კოლექტივის საკუთრებაში გადადის 1995 წლის 16 ოქტომბრიდან.

ჯერ კიდევ პრივატიზაციის დამთავრებამდე გაცილებით ადრე მაღაზიაში გამოცხადდა ვინმე აკაკი წერეთელი, მცხ. ქ. ზესტაფონში, რომელმაც 13-კაციან შრომით კოლექტივს ერთობლივი საქმიანობა შესთავაზა და თავისთავზე აიღო მაღაზიის ევროპული დონის რემონტი და იმპორტული საქონლით მომარაგება. ამის გარანტად ის ასახელებდა თავის მეუღლეს მაცკო ბეატას, რომელიც ავსტრიიდან შემოიტანდა ყველა საჭირო საქონელს თუ ინვენტარს. ზეპირი გარიგებით, ამის სანაცვლოდ წერეთელი ითხოვდა მოგების ორმოცდაათ პროცენტს. საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა დოკუმენტის შედგენა და მათი ნოტარიატში და სასამართლოში რეგისტრაცია ითავა წერეთლის მოყვანილმა იურისტმა ქეთევან კახიძემ. აქედან იწყება, რბილად რომ ვთქვათ, კანონთან გაუგებრობები. ქეთევან კახიძე 1995 წლის 10 ოქტომბრის თარიღით ადგენს მაღაზიის შრომითი კოლექტივის წევრთა კრების № 1 ოქმს, რომელშიც ჩაიწერება, რომ შრომითი კოლექტივი თავისი ქონების 45 პროცენტს, როგორც წილს საწესდებო კაპიტალში, უთმობს მაცკო ბეატას. აღნიშნული ოქმი, სამწუხაროდ, დამოწმებულია ქ. თბილისის მე-19 სანოტარო კანტორის ნოტარიუსის მიერ.

აღნიშნული კრების ოქმი საერთოდ არ წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს და ის დადების მომენტშივე იყო ბათილი, რადგანაც:

1. მაღაზია შრომითი კოლექტივის საკუთრებაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, გადავიდა 1995 წლის 16 ოქტომბერს და 1995 წლის 10 ოქტომბერს შრომითი კოლექტივის წევრები ჯერ კიდევ სახელმწიფო ქონებას ვერ დაუთმობდნენ ვერავის და მათ შორის ვერც მაცკო ბეატას. ნოტარიუსს ასეთი ოქმი არ უნდა დაემოწმებინა.
2. თუნდაც შრომით კოლექტივს უკვე ხელთ ჰქონდა ქონების მოწმობა, წილის დათმობა, „მეწარმეობის შესახებ" კანონის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ხელშეკრულების გაფორმებით წილის კონკრეტულ დამთმობსა და წილის მიმღებს შორის და არა კრების ოქმით. კრების ოქმით ფიქსირდება წილის გასხვისების კონკრეტული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირობები, მაგრამ წილის გასხვისება კრებაზე არ შეიძლება მოხდეს (ეს სერიოზული დარღვევა საკმაოდ გავრცელებულია ქ. თბილისში და გვინდა მივაქციოთ ნოტარიუსების ყურადღება წილის გასხვისების ხელშეკრულებითი წესით განხორციელების კანონით დადგენილ სავალდებულო ფორმას).

მთავარი მაინც ის არის, რომ ათეულობით წლების სამსახურებრივი სტაჟის მქონე კოლექტივისათვის სახელმწიფოს მიერ სერიოზული შეღავათებით მიყიდული მაღაზიის ლომის წილი უცხოელ [illegible] იქნა გადაფორმებული, თანაც ისე, რომ ამ უკანასკნელს შრომითი კოლექტივის საკუთრების 45 პროცენტის დაუფლებაში ერთი ლარიც არ გადაუხდია. საერთოდ, ქალბატონ მაცკო ბეატას შესახებ ინფორმაცია და მოღვაწეობის სფერო დღემდე დაუდგენელია. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელობისათვის დამახასიათებელმა „უცხოურის" მიმართ უკონტროლო მორჩილების სენმა, ამ შემთხვევაშიც იჩინა თავი და რადგანაც ლაპარაკი იყო „საზღვარგარეთელ ინვესტორზე", არავინ დაინტერესდა, ლეგალიზებული იყო თუ რა მისი დოკუმენტები საქართველოში, რატომ არ გააფორმა მან ხელშეკრულება მაღაზიასთან, რატომ არ დაფარა მითვისებული ქონების ღირებულება და ა.შ. მხოლოდ იურიდიული კომპანიისათვის მიმართვის შემდეგ გახდა ცნობილი შრომითი კოლექტივისათვის, რომ მათი საკუთრებიდან ფაქტობრივად ამოღებული იყო 45 პროცენტი. მათ მოტყუებით მოაწერინა დოკუმენტებზე ხელი იურისტმა ქეთევან კახიძემ, რომელიც მაცკო ბეატას წარმომადგენლის როლს თამაშობდა. როდესაც ჩვენ მას ოფიციალური დოკუმენტი მოვთხოვეთ, ქეთევანი საერთოდ გაქრა ასპარეზიდან. ამჟამად, შრომითი კოლექტივის საერთო კრებამ გაასწორა შეცდომა და მაცკო ბეატაზე მოტყუებით გადაფორმებული 45 პროცენტი დაუბრუნდა შრომით კოლექტივს, თუმცა საქმოსანთა ჯგუფი მაინც არ ისვენებს და ახლა უკვე „საქმიანი" წინადადებებით ცდილობენ ხელიდან გაშვებული წილის ჩალის ფასად შეძენას.

როდესაც მეწარმეებს წინადადებებით მიმართავენ უცხოელი ინვესტორების სახელით, აუცილებელია, რომ მოლაპარაკებასა და დოკუმენტების გაფორმებაში შრომითი კოლექტივის დავალებით ჩაერთოს იურიდიული სამსახური. ამით თავიდან იქნება აცილებული სანოტარო კანტორების მიერ დოკუმენტების დამოწმებისადმი ზერელე დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე, სასამართლოში რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომებიც, რომელთა უკანაც ჩვენი სახელმწიფოს კონკრეტული მოქალაქეების და მათი ახლობლების ათას ლარად ღირებული ქონების ბედი დგას.

[illegible] აღნიშნულ [illegible] ჯგუფის განკარგულებით, მათ მარტო თბილისში ხელში აქვთ ჩაგდებული რამდენიმე სავაჭრო ობიექტი და [illegible] ასახელებენ სხვადასხვა რანგის მაღალი თანამდებობის პირებს. თუ რომელიმე შრომითი კოლექტივი, რომელსაც ასევე მოტყუებით გამოსძალეს პრივატიზებული ქონების წილი, ნაცნობად ჩათვლის ზემოთ აღნიშნულ ისტორიას, დაგვირეკეთ ტელეფონით: 93-45-25 და იურიდიული კომპანია უზრუნველყოფს თქვენი შელახული ინტერესების დაცვას.

კონსტანტინე კემულარია,
იურიდიული კომპანია „ინიურსერვისის"
გენერალური დირექტორი.
21.05.96 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიმინალური ქრონიკა

დანდობა არ ექნებათ

ყაჩაღობა

17 მაისს სამეგრელოს მხარისა და ზემო სვანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ფორმირების წევრები გიორგი ვაჟას ძე ბერაია (მცხოვრები ქალაქ ფოთში, რუსთაველის ქუჩა №5-ში, 1954 წელს დაბადებული) და ანზორ გოჩას ძე კვარაცხელია (მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ გალში, 1962 წელს დაბადებული) 1992 წლის ოქტომბერში თავს დაესხნენ ქალაქ ფოთში, ნახიმოვის ქუჩა №1-ში მცხოვრებ მელიტონ აპოლონის ძე ბაგბთელიას ოჯახს. მათ ავტომატით დაცხრილეს ბინა და ავეჯი, გაიტაცეს მისი ავტომანქანა „ვაზ-2106“.

საქმეს იძიებს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

„პროგრესულად“ მოაზროვნე უფროსი და მისი მოადგილე

დატაცება

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის თანამშრომლების მიერ ერთობლივად განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს დააკავეს საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თბილისის სატვირთო-სავაგონო დეპოს უფროსი შერაბ ასათაშვილი და მისი მოადგილე გოგი ქურციკიძე.

მათ, წინასწარი შეთანხმებით, 1995 წლის ივლისში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ჩაბარებული 600 ტონა ჯართის ნაცვლად რკინიგზის დეპარტამენტის სატვირთო-სავაგონო დეპოსათვის გამოყოფილი 18900 ლარის ღირებულების 143 ტონა კოქსი მიჰყიდეს ახალქალაქის კოოპერატივ „პროგრესის“ წარმომადგენლებს და მიღებული თანხა მიითვისეს. შემდეგ 143 ტონა კოქსი ფიქტიური დოკუმენტებით ჩამოწერეს.

ფრთხილად, ბინების ყიდვისას

თაღლითობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ოთხი მოქალაქე – ნ.ცქიფურიშვილი, კ.მოდებაძე, გ.სუმბაძე და მ.ალფაიძე.

მათ, წინასწარი შეთანხმებით, 1995 წლის ივნისში საბურთალოს ქუჩაზე იქირავეს ბინა, ხოლო შემდეგ ყალბი საბუთების გამოყენებით, თაღლითური გზით 17 ათას დოლარად მიჰყიდეს მოქალაქეს.

დაკავებულთა ბინებში ნახეს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებების ტიტულიანი ბლანკები და ბეჭდები.

მიმდინარეობს გამოძიება.

ერთ უღელში...

ნარკომანია

ბოლნისის რაიონში პოლიციის ადგილობრივი განყოფილების მონაცემებით, ოფიციალურად აღრიცხულია ხუთი ნარკომანი (ოპერატიული მონაცემებით კი რამდენიმე ათეული) და ორი ნარკოტიკებით მოვაჭრე. ეს უკანასკნელი აქაური მაცხოვრებლები, ცოლ-ქმარი გასანოვები არიან, რომლებიც დააკავეს 80 გრამი (მისი ღირებულება შავ ბაზარზე 10 ათასი ლარია) ოპიუმის რეალიზაციის ფაქტის დროს. მოქალაქე გასანოვამ არალეგალური გზით შემოჰქონდა ოპიუმი აზერბაიჯანიდან. ცოლ-ქმრის კლიენტები, როგორც წესი, იყვნენ თბილისელი „მომხმარებლები“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ძიება გამოავლენს იმასაც, თუ რამდენი კილოგრამი ნარკოტიკის რეალიზაცია მოახერხეს მათ ბოლო ორ-სამ წელიწადში. არც ის არის ინტერესმოკლებული, რომ თავად გასანოვი არაერთხელ იყო ნასამართლევი ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის.

ამავე დროს რაიონის პოლიციის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ მილერ ხარიბაევას მტკიცებით, ბოლო რამდენიმე თვეში აქ აშკარად შეინიშნება ადგილობრივ მოსახლეობაში ნარკოტიკების პოპულარობის შემცირების ტენდენცია.

საქინფორმი

რეპლიკა

არცთუ სასიამოვნო „ღამის სერენადების“ გამო

ადამიანისა და ძაღლის ურთიერთობაზე, მათს მეგობრობაზე მრავალი ლეგენდა, თქმულება, მოთხრობა თუ ფილმი არსებობს. ეს მართლაც რომ უნიკალური ურთიერთსიყვარული და ერთგულება ამ ორ ცოცხალ არსებას შორის საუკუნეთა სიღრმეებიდან წამოსულა და დღემდე მოუღწევია. თუმცა, ჩვენს სინამდვილეში, შეიძლება შეწყდეს და საპირისპირო, ურთიერთსიძულვილის კურსით განვითარდეს...

ასეთი სამწუხარო ჰიპოთეზის საბაბს კი ნამდვილად გვაძლევს ჩვენს ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე უპატრონო, გაუბედურებული და უსაზღვროდ გაავებული მაწანწალა ოთხფეხების უპრეცედენტო მომრავლება.

ამ მართლაც ჭკვიანმა ცხოველებმა, თითქოს დროის მოთხოვნას აუწყვეს ფეხი! — უპატრონო, დამშეულმა ძაღლებმა, რომლებმაც ყოველგვარი ჯიშისა და ჯილაგის ნიშნები დაჰკარგეს სტიქიურად გამრავლების ნიადაგზე, თავიანთი გავლენის სფეროები შექმნეს, „საქმოები ჩამოაყალიბეს“ ქალაქის უბნების, მასივების, კვარტლების მიხედვით და მართლაც რომ ღვთის რისხვად მოევლინენ ადამიანთა ჯგუფებსა თუ ცალკეულ ინდივიდებს.

არავინ უწყის, საიდან გამოუვარდება უზარმაზარი პირდაფჩენილი ნაგაზი ქუჩაში თუ სადარბაზოსკენ მომავალ დაგვიანებულ მოქალაქეს და გადაურჩება თუ არა მისი წვივები ბასრ, ხშირად, ცოფმორეულ კბილებს. თუ კი ღმერთმა ქნა და გადაურჩა დაკბენას, ან შიშისაგან ენის ჩავარდნას, დამაშვრალმა მოქალაქემ, საწოლს რომ მიანდო სხეული დამამშვიდებელი ძილის იმედით, შესაძლოა ვერც კი ნახოს ესოდენ სასურველი ტკბილი სიზმრები: ნაგაზი და მისი მეგობრები სწორედ მაშინ ატეხენ საშინელ და გაუთავებელ ყეფა-წკმუილს, როდესაც ძილსმონატრებული გვერდს იცვლის და საამო ბურანში აპირებს გახვევას...

რა ქნას უძილობისაგან გაბოროტებულმა, გამოთაყვანებულმა და თეთრად გათენებული ღამის შემდეგ ძაღლზე მეტად აღრენილმა კაცმა, კვლავ იგულვოს „თავისი უმცროსი ძმა“ მეგობრად?

ნამდვილად გაუჭირდება. ეგ კი არა და, ალბათ მტრადაც ჩათვლის. ამიტომაც იმატა რედაქციაში შემოსულმა საჩივრებმა უპატრონო ძაღლების უსაშველოდ მომრავლების გამო.

მოგვმართავენ — გვიშველეთ, დაგვიცავითო. ჩვენ, ჟურნალისტებს კი მხოლოდ შეგვიძლია ასევე თხოვნით მივმართოთ ქალაქ თბილისის მერიას, ძაღლის მოყვარულთა, ცხოველთა დაცვის საზოგადოებებს: იწამეთ ღმერთი, ყურად იღეთ ჩვენი მკითხველების გაძაღლებული (პირდაპირი მნიშვნელობით) ცხოვრება და დროულად შემოიტანეთ ის უცხოური წამალი, რომელსაც როგორც კი მიირთმევენ ჩვენი მურიები, თურმე იმ დღიდანვე შეწყვეტენ გამრავლებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალური ხდება საშიშროება, რომ გამრავლებას და, შესაბამისად, არსებობას შეწყვეტენ ჩვენი მოქალაქენი, რომლებიც, ნაცვლად იმისა, რომ ღამ-ღამობით იზრუნონ აღნიშნულ საკითხზე, იძულებულნი არიან ყური უგდონ ნაგაზთა არც თუ სასიამოვნო „ღამის სერენადებს“.

ანზორ ბასილაია.

ვიდრე კალამს ხელში ავიღებთ

ჩვენს საინფორმაციო საშუალებებში გაშუქებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვალის გადავლებისას, კაცი უმალ ერთ გარემოებას გამოარჩევს — ასპარეზზე მოქმედებენ და ჩანან მხოლოდ პიროვნებები, პარტიათა ლიდერები, ხოლო პარტიები, რომელთაც ისინი წარმოადგენენ, თითქოს არც არსებობენ. არავის არ ახსოვს ამ პარტიების პროგრამები, არ აინტერესებს დოკუმენტებში ოდესღაც დაფიქსირებული მათი მიზნები, არავინ კითხულობს, რომელი მათგანი თავის ლიდერთან ერთად როგორ იღვწის გაცხადებულ მიზანთა განხორციელებისათვის.

სწორედ პარტიისაგან, მისი პროგრამისა და საქმიანობისაგან იზოლირებულად განსჯის მაგალითია უკანასკნელ ხანს ჩვენს პრესაში ატეხილი ხმაური ბ-ნ ასლან აბაშიძის პიროვნების გარშემო, და არა მარტო ქართულ, უცხოურ, მათ შორის, რუსეთის პრესაში.

ობიექტური დასკვნების გამოსატანად უპრიანი იქნებოდა, ბატონ ასლან აბაშიძის მოქმედებანი გაშუქებულიყო და გაანალიზებულიყო იმ პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის ჭრილში, რომელსაც იგი თავკაცობს. საქმე ეხება სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირს.

რა მდგომარეობაა დღეს აჭარაში, რომელი პოლიტიკური ძალა საით წარმართავს იქაურ მოვლენებს? პრობლემა არა ერთი კუთხით შეიძლება იქნას განხილული: პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, შიდა და საგარეო პოლიტიკური და სხვა განზომილებებით. ყველა ! ეს განზომილება თავს იყრის რეგიონის წამყვანი პოლიტიკური პარტიის — სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის სიტყვასა და საქმეში, რაც უდავოდ აჭარაში მიმდინარე პროცესების გასაღებს წარმოადგენს. აღორძინების კავშირის პოზიცია და საქმიანობა, რა თქმა უნდა, საიდუმლოებით მოცული არ არის, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ისინი და მივუსადაგო საზოგადოების ერთ ნაწილში მოარულად გაჩენილ ინსინუაციებს.

ამჯერად, აღვნიშნავ რამდენიმე გარემოებას.

პირველი. —უკანასკნელ პერიოდამდე აღორძინების კავშირი წარმოადგენდა აჭარის რეგიონულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. აჭარის აღორძინების კავშირის ევოლუცია ორი მიმართულებით შეიძლებოდა განვითარებულიყო. იგი შეიძლებოდა დარჩენილიყო რეგიონულ ორგანიზაციად, შემოფარგლულიყო ვიწრო კუთხური ინტერესებით, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა მისი ნებსით თუ უნებლიეთ იზოლირება სრულიად საქართველოს პოლიტიკური სპექტრისა და ცხოვრებისაგან. აჭარის აღორძინების კავშირი, როგორც ჭეშმარიტად ქართული პოლიტიკური პარტია, სრულიად ბუნებრივად, მეორე მიმართულებით განვითარდა. იგი გარდაიქმნა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირად. ეს ნიშნავდა უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ორგანიზაციამ უარყო რეგიონული მოღვაწეობის ჩარჩოები და გამოხატა ნება — მთლიანად ჩართულიყო სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ოპონენტებს, რომლებიც აღნიშნავენ ხოლმე ე. წ. ცენტრიდანულ ტენდენციებს, აჭარის თბილისთან ურთიერთობაში, არასოდეს არ აღუნიშნავთ, რომ აჭარის აღორძინების კავშირის გარდაქმნა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირად ნიშნავდა და გამოხატავდა რეგიონის მთავარი პოლიტიკური ორგანიზაციის, მის მესვეურთა და მისი თავკაცის ბ-ნ ა. აბაშიძის სწრაფვას — კავშირი ინტეგრირებულიყო მთლიანად საქართველოს პოლიტიკურ სხეულთან.

მეორე — აღორძინების კავშირი სახელისუფლო პარტიაა. იგი კოალიციაშია მმართველ — მოქალაქეთა კავშირთან და პარლამენტის უმრავლესობაშია გაერთიანებული. კავშირს პარლამენტში 31-კაციანი დეპუტაცია ჰყავს და ყველა, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი კანონპროექტის დამუშავება-მიღებაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ჩანს, ამ ცნობილი ფაქტის გამეორებაა საჭირო, რაც მჭევრმეტყველურად და ცალსახად ნიშნავს იმას, სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი აქტიურადაა ჩართული ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საკანონმდებლო ცხოვრებაში, ლოიალურადაა განწყობილი ხელისუფლებისადმი და ისწრაფვის მისი განმტკიცებისათვის.

მესამე. — თვით კავშირის სახელწოდებაშია გაცხადებული ორგანიზაციის სტრატეგიული მიზანდასახულება: სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი — საქართველოს, ქართველი ხალხის და ქვეყნის მთელი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სულიერი აღორძინება. რა თქმა უნდა, კავშირის მიზანთა შორის უპირველესია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის რეალური განმტკიცება. კავშირს მიაჩნია, რომ რეალური დამოუკიდებლობა არ მიიღწევა ეკონომიკური აღორძინების გარეშე. კავშირი საქმით იღწვის ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის. ამაზე მეტყველებს ორგანიზაციის, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველი პარტიის მოღვაწეობა რეგიონში. ჩვენს პრესაშიც არაერთხელ აღნიშნულა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოსათვის მძიმე პერიოდში, აჭარაში მოხერხდა მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი პროცესის დაწყება.

განსჯა

დიდი ყურადღება ექცევა აღორძინება-აღმშენებლობას კულტურის და განათლების სფეროში. კავშირი ამ შემთხვევაში, ახორციელებს პროგრამაში გაცხადებულ ერთ-ერთ თავის მიზანთაგანს: უზრუნველყოს „ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვრის მოვლა-პატრონობა“. სწორედ ამისი დასტურია, რომ უკანასკნელ წლებში კვლავ აღდგა და ახალ სიმაღლეზე ავიდა ოპერის თეატრი, ქართული დრამატული თეატრი, აშენდა ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები; სინდისის თავისუფლების პრინციპის დამკვიდრებასთან ერთად, უპირატესობა ენიჭება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განმტკიცებას. კავშირის პროგრამის შესაბამისად იღვწის „ეკონომიკის სოციალური ორიენტაციისათვის, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისათვის“. ამისი ერთ-ერთი მაგალითია ისიც, რომ მთიანი რეგიონის მოსახლეობა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე გათავისუფლებულია ელექტროენერგიის გადასახადისაგან და ა. შ.

მეოთხე. — აღორძინების კავშირის მიზანია „საქართველოს რესპუბლიკაში სრული პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა, შენარჩუნება და განმტკიცება, საქართველოს ერთიანობის უზრუნველყოფა და განმტკიცება, ყოველგვარი სეპარატისტული მოვლენების აღკვეთა“. ეს რომ კავშირის პროგრამაში ლიტონ სიტყვებად ჩაწერილი განცხადება არ არის, საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა კარგად იცის. აჭარა ხომ თითქმის ერთადერთი კუთხე აღმოჩნდა საქართველოში, რომელიც გადაურჩა ომის, ეთნოკონფლიქტებისა და კრიმინალური ტოტალიტარიზმის საშინელებას. ხოლო ვისი დამსახურება იყო აჭარაში ძნელი მშვიდობის შენარჩუნება, ყველაზე უკეთ შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც 1996 წლის თებერვალში ჟურნალ „ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა საქართველოს აღორძინების კავშირის თავკაცის ასლან აბაშიძის მისამართით: „უნდა ითქვას, რომ მან უზრუნველყო სტაბილურობა და წესრიგი აჭარაში“.

უმთავრესი ისაა, რომ აღორძინების კავშირი, რომლის ლიდერი ბ-ნი ასლან აბაშიძე ბრძანდება, სრულიად საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც იღვწის ქვეყნის სულიერი, ფიზიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული ერთიანობისა და აღორძინებისათვის.

აჭარის გარშემო ატეხილი ხმაური უპასუხისმგებლო და ყალბია, რაც მთავარია, ქვეყნის ინტერესებისათვის საზიანო. კვლავ ბ-ნ ე. შევარდნაძის სიტყვებს მოვიტან ზემოაღნიშნული ინტერვიუდან, რომელიც მან აჭარისა და მისი ლიდერის მიმართ განაცხადა „...შეშფოთების საფუძველი არ არის, თუ რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონ ცენტრში რაღაც ისეთს არ ჩავიდენთ“.

„რაღაც ისეთის“ მაგვარი უკვე ხდება საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქის პრესაში. აღარ გავიმეორებ იმ უხეშ ბრალდებებს, ტერმინებს, უპასუხისმგებლო დასკვნებს. ისინი პირადულის მასშტაბებს სცილდება, რადგან ბატონი ასლანი იმ პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერია, რომელსაც თავისი საქმიანობით და პოზიციით ამგვარ „ბრალდებებს“ ვერ წაუყენებ და რაც მთავარია, ატეხილ ორომტრიალში ექცევა აჭარა — საქართველოს ერთი მარგალიტთაგანი, რომელსაც, რაღა დასამალია, ჩვენი მტრებიც, და ზოგიერთი მეგობარიც, რა ხანია, ვინ იცის, რა თვალით უყურებენ.

ამიტომ მეტი სიფრთხილე და განსჯა გვმართებს.

ამგვარი საკითხები, ვიდრე კალამს ხელში ავიღებთ — ქვეყნის ინტერესით უნდა გადავწყვიტოთ — ღირს თუ არა „ღრმა ნაფიქრის“ ფურცელზე გადატანა, მით უფრო, საქვეყნოდ, პრესაში გამოტანა.

დიდებული მამულიშვილი და პოლიტიკური მოღვაწე სპირიდონ კედია თითქმის ყოველ თავის შესანიშნავ წერილში კატონივით სულ იმას მოუწოდებდა თანამემამულეებს, რომ პიროვნული და პარტიული ინტერესებით არ ეხელმძღვანელათ საქვეყნო საკითხების გადაჭრის დროს.

სპირიდონ კედიამ თავისი კრედო ორი სიტყვით გვიანდერძა:

— ჯერ საქართველო!

ვიდრე კალამს ხელში ავიღებთ, ჩვენც მუდამ თვალწინ უნდა გვედგეს ეს სიტყვები — ჯერ საქართველო!

დიმიტრი შველიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

P.S. როგორც ცნობილი გახდა, აღორძინების კავშირისა და მისი ლიდერის ინიციატივით, კონსტიტუციური ვაკუუმის მიუხედავად, აჭარაში დაინიშნა არჩევნები, რაც იმის დასტურია, რომ კავშირი ერთგულია თავის დევიზის: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“.

უშიშროების სამინისტრო უარყოფს

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ უარყო ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს, 22 მაისს, დილით, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ცეცხლი გაუხსნეს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ თევდორე რეუტის სასამსახურო მანქანას. საქართველოს უშიშროების სამინისტროში იტარ-ტასის თბილისის კორესპონდენტს თენგიზ პაჭკორიას აცნობეს, რომ ინფორმაცია თევდორე რეუტზე თავდასხმის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს და სიცრუეა. არავითარი თავდასხმა ან ცეცხლის გახსნა არ ყოფილა.

საქართველოს უშიშროების სამინისტროში გვაცნობეს, რომ 22 მაისს, თევდორე რეუტი ერევანს გაფრინდა, რათა მონაწილეობა მიეღო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შექმნის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

რაც შეეხება ეპიზოდს რუსთაველის პროსპექტზე, როგორც გაირკვა, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილის, გენერალ ვასილ ბელჩენკოს სასამსახურო მანქანას მოხვდა ქვა. საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მუშაკებმა დაათვალიერეს ეს ავტომანქანა. არავინ დაშავებულა.

საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები აღნიშნავენ, რომ მსგავსი დეზინფორმაცია მიზნად ისახავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაუარესებას.

საქინფორმი.

არის ასეთი ქვეყანა...

კაცმა ხალხის ქონება მიიტაცოს, ქვეყანა დაანგრიოს, უდანაშაულო ადამიანები დახოცოს და მაინც მისი უფლებების დაცვასა თუ მენიუს გამრავალფეროვნებაზე იზრუნონ, პატიმარი კი. არა, თავის უფალი და ბედიღბლიანი კაცი ჰქვია!

იმას რაღა ჰქვია, ვინც მთელი სიცოცხლე ქვეყანასა და ხალხს უანგაროდ, თავდაუზოგავად ემსახურა? — „შრომის ვეტერანი“ ანუ პენსიონერი.

რა განსხვავებაა პატიმარსა და პენსიონერს შორის?

პატიმარს — უფასო კვება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასო ელექტროენერგია. პენსიონერს — 6 ლარი და არაფერი!

ავიღოთ თუნდაც რკინიგზის პენსიონერები, რომელთაც რკინიგზის ტრანსპორტზე უწყვეტად მუშაობის 25 და მეტი წლის სტაჟი აქვთ. „რკინიგზის ტრანსპორტის შესახებ“ კანონის თანახმად, ისინი მომუშავე რკინიგზელების უფლებებით უნდა სარგებლობდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად, თურმე ეს უფლებაც წაართვეს და უსახსროდ დარჩენილებს სამედიცინო მომსახურების ისეთი ტარიფები დაუწესეს, რომ პატიმრის სტატუსი სანატრელი გაუხდათ. (ლოგიკა არ მოგწონთ? მომუშავეებს — უფასო მომსახურება, პენსიონერებს — ფასიანი).

როგორ გავანაწილოთ პენსია? — გვეკითხებიან ღვაწლმოსილი ადამიანები, პასუხისათვის ვის სცალია, როცა გული სიხარულს ვეღარ იტევს: არის ასეთი ქვეყანა, სადაც მარტო პატიმრების ბედი აღელვებთ! ნეტავ, ადამიანის უფლებების დამცველ ეროვნულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელოში ულუკმაპურო პენსიონერებზე არაფერია ნათქვამი?

ლეილა კოშკაძე.

გთავაზობთ
საწერ, საბეჭდ და
ქსეროქსის
ქაღალდს
უნაღდო ანგარიშსწორებით,
ადგილზე მიწოდებით.
☎ 38-91-64; 39-84-05



მეცნიერის დიდი ღვაწლი

ანდრო ბიწაძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად

მეცნიერის შემოქმედების კრისტალიზება და მისი ჭეშმარიტი ღირებულების დადგენა მკვლევართა მომდევნო თაობებში ხორციელდება. ჩვენი სახელოვანი თანამემამულის ანდრო ბიწაძის ეს აზრი მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობითაც უნდა ავხსნათ, სინამდვილეში მისი შემოქმედება იმთავითვე მოექცა მსოფლიოს მათემატიკოსთა ყურადღების ცენტრში. სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანია დამკვიდრდა მრავალი ტერმინი, ბიწაძის სახელს რომ ატარებს.

ანდრო ბიწაძემ ბავშვობა ზემო იმერეთში, სოფელ ცხრუკვეთში გაატარა, ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ საშუალო სკოლებში ასწავლიდა მათემატიკასა და ფიზიკას. 1940 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩაირიცხა. იმ ხანებში ამოქმედდა ნიკო მუსხელიშვილის სემინარი კომპლექსურ ანალიზსა და მის გამოყენებებში. ა. ბიწაძე ამ სემინარის დამფუძნებელ მონაწილეთა რიგებში აღმოჩნდა. სემინარის მდიდარმა თემატიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებაში. ილია ვეკუას ხელმძღვანელობით შეისწავლა განტოლებათა ელიფსური სისტემებისათვის დასმული სასაზღვრო ამოცანები, რისთვისაც 1945 წელს კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა.

1948 წელს ა. ბიწაძე მივლინებული იყო მოსკოვის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დოქტორანტურაში, სადაც მიხეილ ლავრენტიევის რჩევით დაინტერესდა შერეული ტიპის განტოლებათა პრობლემებით. მან შეიმუშავა მოქნილი მათემატიკური აპარატი, რომლის საშუალებითაც დასრულებული სახე მისცა სასაზღვრო ამოცანათა თეორიას ამ განტოლებებისათვის. ეს შედეგები დაედო საფუძვლად მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც 1951 წელს დაიცვა. ა. ბიწაძეს შესთავაზეს სამუშაოდ იქვე დარჩენა, რაც რჩეულთა ხვედრი იყო. 1958 წელს იგი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, მომდევნო წელს კი სამუშაოდ გადავიდა ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრში, სადაც ხელმძღვანელობდა მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიის განყოფილებას და უნივერსიტეტის იმავე დასახელების კათედრას. ფასდაუდებელია მისი წვლილი ციმბირის სამეცნიერო ცენტრის ორგანიზაციასა და შემდგომ განვითარებაში. იგი იყო მრავალი ნოვატორული წამოწყების ავტორი და განმხორციელებელი. ტრადიციული „ბიწაძის სემინარი“ ანდამატივით იზიდავდა ახალგაზრდობას. ამ სემინარს დღესაც მრავალი მეცნიერი იგონებს მადლიერების გრძნობით.

1971 წელს ა. ბიწაძე მოსკოვს დაბრუნდა, სადაც მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში, ხოლო ოთხმოცდაათიანი წლებიდან დირექტორის მრჩეველი იყო. მჭიდრო კავშირი საქართველოს მათემატიკურ წრეებთან მას არასოდეს გაუწყვეტია. 1969 წელს იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. [illegible] წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს.

ა. ბიწაძის შემოქმედება იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია საგაზეთო წერილში მისი სრულად წარმოჩენა.

ანდრო ბიწაძე მეცნიერების ორგანიზატორისა და აღმზრდელის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელწერით გამოირჩეოდა. იგი თავის გარშემო ძალდაუტანებლად ქმნიდა შემოქმედებით ატმოსფეროს. ალბათ ამითაც უნდა ავხსნათ მისი მოწაფეებისა და მიმდევრების სიმრავლე. მისი მრავალი მონოგრაფია და სახელმძღვანელო თარგმნილია და გამოცემული სხვადასხვა ენაზე, მათზე დიდი მოთხოვნილებაა. მათ კარგად იცნობს საერთაშორისო მკითხველი. მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად ამ წიგნების პოპულარობას სხვა მიზეზიც აქვს: აზრთა გადმოცემის გამჭვირვალე და ლაკონიური ბიწაძისეული სტილი მკითხველს აძლევს შინაარსის ბოლომდე ჩაწვდომის საშუალებას და განაწყობს მას შემდგომი განზოგადოებისაკენ.

განუყოფელია ანდრო ბიწაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც უწყვეტად ეწეოდა თბილისის, მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურ ინსტიტუტში.

ამავდროულად ა. ბიწაძე დიდ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა, წლების მანძილზე აქტიურად მუშაობდა სახელმწიფო პრემიების კომიტეტში, მათემატიკოსთა ნაციონალურ კომიტეტში, უმაღლეს საატესტაციო კომისიაში და სხვ.

ანდრო ბიწაძე თავს თვლიდა სამი დიდი მეცნიერის: ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას და მიხეილ ლავრენტიევის მოწაფედ და სათუთად ატარებდა მათ ხსოვნას. ყოველთვის მადლიერების გრძნობითა და მოწიწებით მოიხსენიებდა ხოლმე მათ და შემთხვევას არ გაუშვებდა სწვეოდა წმინდა საფლავებს.

ანდრო ბიწაძე 1994 წლის შემოდგომაზე აღესრულა. მან უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა დატოვა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი დამფასებელი და გამგრძელებელი ჰყავს. გვჯერა, რომ ჩვენშიც არ დაილევიან ბატონი ანდროს შემოქმედების ღირსეული გამგრძელებლები.

ჯუმბერ ლომინაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;

ჯონდო გვაზავა,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

XEROX და HEWLETT PACKARD
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
გთავაზობთ ყველაფერს ოფისისათვის

ასლგადამღები აპარატები	
• საშაგიდო: XEROX XC520, 5009 1:1, 5310	1133 - 2374 ლარი
• საშუალო სიმძლავრის: XEROX 5614, 5316, 5317, 5621	3386 - 10400 ლარი
• დიდი სიმძლავრის: XEROX 5328, 5334, 5343, 5352	6746 - 31443 ლარი
• საინჟინრო: XEROX 2515, 3030	10752 - 23296 ლარი
ფაქსიმილური აპარატები	
• XEROX 7235, 7238, 7239 (ავტომოპასუხით), 7245	765 - 890 ლარი
• XEROX 3006 (მრავალფუნქციონალური)	2 860 ლარი
კომპიუტერები	
• HP Vectra VE-486: 486DX4-100, 8/420/1.44/SVGA 14"	2874 ლარი
• HP Vectra VL-3: Pentium 90, 8/840/1.44/SVGA 14"	4490 ლარი
• HP Vectra VT: Pentium Pro-200, 32/1GB/1.44/SVGA 14"	12525 ლარი
პრინტერები	
• ჭავლური HP DeskJet : 340; 660; 1600; XEROX XJ-5	653 - 2662 ლარი
• ლაზერული HP LazerJet: 5L; 5P; 4; XEROX 4505/08/10/20	1152 - 3910 ლარი
• ლაზერული ფერადი: HP Color LazerJet; XEROX 4900/20	14861 - 16512 ლარი
პერიფერია	
• შავთეთრი და ფერადი სკანერები HP Scanjet 4S/4P/4C/4SI	768 - 5939 ლარი
• მულტიმედია, სტაბილიზატორები, უწყვეტი კვების აპარატები, ქსელის მოწყობილობა და სხვა	
უმაღლესი ხარისხის საკანცელარიო ქაღალდი	
○ XEROX "Business" A4, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	10 - 12 ლარი
• XEROX "Business" A3, 80 გ/მ (500 ფურცელი შეკვრაში)	20 - 23 ლარი
• XEROX–ის სხვადასხვა ფერისა და წონის (160–200 გ/მ –მდე)	18 - 25 ლარი
• ფაქსის ქაღალდი	6 - 7 ლარი
იტალიური, უნგრული და ბულგარული საოფისე ავეჯი	
• მაგიდები, სავარძლები, სკამები, კარადები, რბილი ავეჯი	

ჩვენი მისამართია: თბილისი, შავთელის ქ. 5/7, ტელ: 98-36-31, ფაქსი: 98-96-58
წარმომადგენლობა: ზუგდიდი, ფირმა «მემო». ცოტნე დადიანის ქ. 1 ტელ: 2-40-82

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს თავდაცვის მინისტრს ვარდიკო ნადიბაიძეს დედის

სიდონია იაკობის ასული ბურდული-ნადიბაიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლობა ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძეს დედის

სიდონია იაკობის ასული ბურდული-ნადიბაიძის

გარდაცვალების გამო.

წყალტუბოს ცენტრალური სამხედრო სანატორიუმის პირადი შემადგენლობა თანაუგრძნობს თავდაცვის მინისტრს, გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძეს დედის

სიდონია იაკობის ასული ბურდული-ნადიბაიძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და კოლეგია სამძიმარს უცხადებენ აბაშის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს ნიკოლოზ თურმანაულს დედის

მართა თურმანაულის

გარდაცვალების გამო.

დედა თამრიკო, მამა დათო, ძმა ნუკრი, ბებიები ლუალი, საშა, ბაბუა ნუგზარი, ბიძები კახა, ლევანი, დეიდა ციცო, ბიძაშვილები მზია, გვანცა, დეიდაშვილები მანანა, გია, გელა, ანრი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პატარა

გიორგი (გიო) მხეიძე

პანაშვიდი 24, 25 V, 5 ს., გამოსვენება 26 V, 4 ს., წმ. ნიკოლოზის (ყოფილი სვერდლოვის) ქ. № 5, ვორონცოვზე.

მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

გამომცემელი – შპს „პრესა“

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.